1933

1933 წ. 28 თებერვალ

# ნიანგი №4




პროფ. მ. თოიძის ორიგ. ნახატი „ნიანგი"-სთვის

# საბჭოთა საქართველოში

სოფლად მუშაობის შესახებ ამხ. სტალინის სიტყვის დამუშავებამ დიდი ენტუზიაზმი და გამოხმაურება გამოიწვია თბილისის საწარმოებში. მრავალი მუშა-კომკავშირელი აცხადებს სოფლად სამუშაოდ წასვლის სურვილს. ამრიგად ლენინგრადელების თაოსნობა გამოხმაურების გარეშე არ დარჩება—საქართველოს საწარმოები მისცემენ სოფელს საუკეთესო დამკვრელებს.



ამხ. ჩიგოგიძე (ტრამვაი), კომკავშირელი, საუკეთესო დამკვრელი, მიდის სოფლად სამუშაოდ.



ამხ. წამალაშვილი (26 კომუნარის სახ. ქარხანა, თბილისი) კომკავშირელი, 6 წლის საწარმოო სტაჟით მიდის მუდმივ სამუშაოზე სოფლად.



თბილისის სადგურის ხიდის მშენებლობა უნდა დასრულდეს 1933 წლის დამლევს. მშენებლობა მექანიზირებულია, დადგმულია 2 ნახ. ტონიანი ამწევი მანქანა, გამოყენებულია ტრაქტორები და სხვ. სურათზე—2 ნახ. ტონიანი ამწევი მანქანა ხიდის მშენებლობაზე.



ამხ. ბარსეგოვი—თბილისის ტყავეულობის ფაბრიკის საუკეთესო დამკვრელი, რომელიც თავის გეგმებს სისტემატიურად 140 პროც. ასრულებს.



თბილისის ინდუსტრიალური ტექნიკუმის მეორე კურსის მოწაფეები რეოსტატის გამოცდაზე თვალსაჩინო ხელსაწყოთა კაბინეტში ინსტრუქტორ ამხ. შეიშვილის ხელმძღვანელობით.

ბ. [illegible]

# საბჭოთა საქართველოს

თორმეტი წლის
ბრძოლის
გამომსახველი
მშვენებლობის
დროშები რომ
ფრიალებს,—
ბრმათათვისაც
გახდა თვალის ამხელი,
ყრუთაც ესმით
ინდუსტრიის
გრიალი!
დღეს თბილისიც
თავმომწონე,
მქუხარე,
ღელავს,
ბორგავს
დაუდგრომელ ზღვასავით;
მთაწმინდაც კი
აღარ არის
მწუხარე,
ზამესი რომ
აკაშკაშებს
ცახავით!
და თებერვლის
სრული
გამომსახველი
ალისფერი
დროშები რომ
ფრიალებს,—
ბრმათათვისაც
გახდა თვალის ამხელი,
ყრუთაც ესმით
ინდუსტრიის
გრიალი!
სიძნელეებს
ქედი არ მოუხარეთ,
გადავლახეთ
ზღუდე
გადუვლახველი;
მილწევები,
მოყვრებს
გულს რომ უხარებს,—
ლახვარია
ყველა ჩვენი მძრახველის!
ბოლშევიკურ
მახიურ დამკვრელობით
ვქმნით
ცხოვრებას
უკლასოს და
ლენინანს;
და სტალინის
ნაცად ხელმძღვანელობით,
ყველა ფრონტზე
ვიპყრობთ გეგემონიას!
თავისუფალ
შრომის გამომსახველი
სოციალიზმის
დროშები რომ
ფრიალებს,—
მით ხაბჭოთა
საქართველოს სახელი
მტრის ბანაკში
მრისხანებით
გრიალებს!
მიყრუებულ
სოფლის
ბნელ ხვეულებშიც
კომუნიზმის
ნაპერწკლები ღვივიან;
ჩამორთმეულ
მდიდართა მამულებში
ღარიბების
ძმური კოლექტივია,
და იქ... კი,
სადაც ოდეს
ტყუნი,
სადაც მხოლოდ
მიკიოტი მკიოდა,—
ესმით გლეხებს
ელსადგურის
გუგუნი
და კონცერტი
ხმამაღალ რადიოიან!
მუშურ-გლეხურ
ქვეყნის შემოქმედება
ახალ-ახალ
მრეწველობას აჩაღებს,
და რაც მეტი
გიგანტები
შენდება,—
დამბლასა სცემს
ევროპიელ
ყაჩაღებს!
ძლევამოსილ
ბრძოლის
გამომსახველი
მილწევების
დროშები რომ
ფრიალებს,—
ლახვარია
ყველა ჩვენი
მძრახველის,
რომლის ნაშთსაც
მალე გავატიალებთ!



„ჩვენ ოზორონცები ვართ 1917 წ. 25 ოქტომბრის შემდეგ. ჩვენ მოვიპოვეთ უფლება იმის, რომ დავიცვათ სამშობლო. ჩვენ ვიცავთ არა საიდუმლო ხელშეკრულებებს: ჩვენ ისინი გავაუქმეთ და გამოვააშკარავეთ; ჩვენ ვიცავთ არა დიდ-მპყრობელობას... არა ნაციონალურ ნტერესებს, ვინაიდან ჩვენთვის მსოფლიო სოციალიზმის ინტერესები მაღლა დგა-ნაციონალურზე, ჩვენ ვართ—სოციალისტურ სამშობლოს ოზორონცები".

ნ. ლენინი.

# სალამი გმირულ წითელ არმიას

სალამი!
სალამი!
მხურვალე სალამი!
უძლეველ,
ურყეველ
ჩვენს წითელ ჯარს!
მედგრად რომ
უპყრია
თავდაცვის
ალამი,
სოციალიზმის
დარაჯად მდგარს!
ოქტომბრის
ქარცეცხლში
შობილი,
წრთობილი,
მონათა
მფლობელებს
სცემს შიშის ზარს
და წითელ
საზღვრებზე
თოფქვეშ
წელია,
რაც ის
დაიბადა,
რაც მხედრული
ტექნიკით
წინ უხწრებს
მტრებს;
და ბოლშევიკური
არმიის ბრიგადებს
შეგნებულ ბრძოლისთვის
წრთვნის,
ამზადებს!
მთასა და ბარსა!
თუმცა
ჩვენს გარემოს
დღე-ღამე
ზვერავენ
ველური
ღმუილით
ანთხევენ შხამს,—
მაგრამ
ვერასოდეს
მოდარაჯე,
მხნედ იცავს
საბჭოთა
მთასა და ბარს!
ხუთმეტი
მაინც ამჯობინეს,
თუ ისევ
მოაწყდენ
სროლით საზღვრებს,—
ერთ გოჯ მიწასაც-კი
არ დავაპყრობინებთ,
ძირს დავაყრევინებთ
თავებს და მხრებს!
ვერა!
ვერ გვაშინებს
ევროპის ბლოკადა,
ინტერვენცია და
სხვა;
ჩვენ ჩვენი ცეცხლი
ვერ გადმოხთელავენ,
მზადა ვართ
საომრად
ნიადაგ ჟამს!
და თუ შემოტევა
მათ ისე
თოკავდა,
რომ ვახრჩობინებდით
კუდებით ქვას!
მაშ, ბოლშევიკური
მხურვალე სალამი
უძლეველ,
ურყეველ
ჩვენს წითელ ჯარს!
მედგრად რომ
წინ მიაქვს
მებრძოლი ალამი,
მშვიდობიანობის
დარაჯად—მდგარს!

# მე-12 თებერვალი

თორმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს აჯანყებულმა პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხობამ დაამხო მენშევიკური ხელისუფლება და საბჭოების დროშა აღაფრიალა.

მენშევიკების სამი წლის ბატონობამ სრულ გაპარტახებამდე მიიყვანა საქართველო. მენშევიკებმა არა თუ ვერ შესძლეს საერთაშ. ომის შედეგად დაშლილი მეურნეობის აღდგენა, არამედ ისიც ვერ შეინარჩუნეს, რაც მათ მთელი გადაეცათ მემკვიდრეობით.



ამხ. ფ. მახარაძე
ამ.-კავკ. და საქართ. ცაკის თავმჯდომარე

მენშევიკური „დემოკრატიის“ სამი წელი ნაციონალური შუღლის, სისხლისღვრის და მშრომელ გლეხთა აწიოკების წლები იყო. მენშევიკებს არ გააჩნდათ შემოქმედებითი მუშაობის უნარი. ისინი სხვის ხარჯზე სცხოვრობდნენ და დაუზოგავად ანიავებდნენ სახალხო ქონებას.

სამი წლის მანძილზე მენშევიკებს არ შეუქმნიათ არც ერთი სამრეწველო წამოწყება, რაც იყო, ისიც სულს ძლივს ღაფავდა. მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კულტურული სფერო მენშევიკების დროს დაცემული და დაკნინებული იყო. მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა ისეთსავე მდგომარეობაში დარჩა, როგორც მეფის მთავრობის დროს. ფაბრიკები ისევ კაპიტალისტების ხელში იყო, მიწებს კი კვლავ მემამულეები ფლობდნენ. „მიწის რეფორმა“, რომელიც მენშევიკებმა ჩაატარეს, ისევ თავად-აზნაურებისათვის თუ იყო სასარგებლო, მშრომელ გლეხკაცობას არ უგრძვნია მისი სარგებლიანობა.

ამით შავ ფონზე საბჭოთა საქართველოს მიღწევები გოლიათად მოჩანს. საქართველო ამ თორმეტი წლის მანძილზე რადიკალურად შეიცვალა. ქვეყანამ ფერი იცვალა. საქართველო უაღრესად აგრარულ, წვრილი სოფლის მეურნეობის ქვეყნიდან გადაიქცა ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად, მრავალი სამრეწველო გიგანტით და მსხვილი მიწათმოქმედებით.

რომელი დარგიც არ უნდა ავიღოთ, საბჭოთა საქართველოს მიღწევები იმდენად დიდი და მნიშვნელოვანია, რომ ვერავითარ შედარებას ვერ ითმენს მენშევიკურ საქართველოსთან.

ავიღოთ მრეწველობა. მენშევიკების დროს ტყიბულისა და ჭიათურის გარდა არც ერთი მსხვილი საწარმო არ არსებობდა. ესენიც სანახევროდ არ მუშაობდნენ. ქვანახშირის ამოღება ტყიბულში ძალზე დაცემული იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ აღადგინა ტყიბულის დანგრეული მეურნეობა და ქვანახშირის ამოღება 33.000 ტონიდან 1917 წელს აიყვანა 200.000 ტონამდე 1932 წელს. თუ ტყიბული და ჭიათურა სამთამადნო მრეწველობის ერთად-ერთი წარმომადგენლები იყვნენ მენშევიკურ საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების დროს მათ მოემატა ბარიტი, გუმბრინი, დიატომიტი, ანდეზიტი და სხვა სამთო სიმდიდრე, რომელთა ექსპლოატაციაც ფართოდ არის გაშლილი.

აღმოჩენილი და გამოკვლეულია ქვანახშირის ახალი ბუდობები, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ახალციხის ქვანახშირი, რომელსაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვს და რომლის მარაგიც — 180 მილიონ ტონას აღწევს. უახლოეს წლებში ახალციხე გახდება საქართველოს და ამიერ-კავკასიის მეორე საქვანახშირო ბაზად.

ქვანახშირის გარდა აღმოჩენილია ფერადი ლითონების დიდი მარაგი, რომელიც იაფ ელექტრო-ენერგიასთან ერთად შექმნის საქართველოს ფერადი მეტალურგიის საფუძველს.

სამთო სიმდიდრეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნავთს. საქართველო მდიდარია ნავთით. ისტორიულად ნავთი ცნობილი იყო შირაქში, ნავთლუღში, ნორიოში, მარტყოფში, გურიაში და სხვაგან. ნავთის მარაგი საქართველოში აღწევს ნახევარ მილიარდ ტონას. ეს უდიდესი სიმდიდრე ხელუხლებელი იყო. მენშევიკებს სად ჰქონდათ იმის უნარი, რომ ნავთის



ამხ. ლ. ბერია
საკავშირო კ.პ. (ბ) ამ.-კავკ. სამხარეო კომიტეტის და საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ
პირველი მდივანი

ექსპლოატაციისათვის მოეკიდათ ხელი! მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ გამოამჟღავნა შირაქის და ნავთლუღის ველების საიდუმლოება და მკვიდრი ნიადაგი ჩაუყარა ნავთის მრეწველობას ჩვენში. მიმდინარე წლიდან შირაქში იწყება ნავთის სამრეწველო ექსპლოატაცია. ახლო მომავალში საქართველოს ნავთი საპატიო ადგილს დაიჭერს საბჭოთა კავშირის ნავთის საერთო მარაგში.

განვლილი 12 წლის მანძილზე მრავალი ახალი წამოწყება შეიქმნა საქართველოში. საკმარისია მათი ჩამოთვლა, რომ ნათელი გახდეს, თუ რა სწრაფად მიდის ჩვენი ქვეყანა ინდუსტრიალიზაციის გზით. საქართველოს მთელი ლითონის მრეწველობა მენშევიკების დროს რამდენიმე წვრილი სახელოსნოსაგან შედგებოდა. დღეს საქართველოს მძიმე მრეწველობა 18 მსხვილ საწარმოო ერთეულს აერთიანებს (გარდა იმ საწარმოებისა, რომლებიც ექვემდებარება ა.-კ. ფედერატიულ და საკავშირო მრეწველობას) რამდენიმე ათასი მუშით. მათ შორის 26 კომუნარის და კალინინის სახელობის ლითონის ქარხნებს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავთ.



ამხ გ. მგალობლიშვილი
საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

ლითონის მრეწველობასვე ეკუთვნის ზესტაფონის ფერო-შენადნობთა კომბინატი, რომელმაც ხარისხობრივი ფოლადისათვის საჭირო სხმულები უნდა დაამზადოს. ზესტაფონის ქარხნით საფუძველი ეყრება ელექტრო-მეტალურგიულ წარმოებას.

მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება სამრეწველო მშენებლობა საქართველოში. აშენდა და მუშაობს კასპის ცემენტის ქარხანა, აგარის შაქრის ქარხანა, ინგურის ქაღალდის კომბინატი, ქუთაისის საკონსერვო და ლიტოპონის ქარხნები, ნავთლუღის მარგარინის ქარხანა, თბილისის ახალი მექანიკური ქარხანა, თბილისის თუჯ-ფოლადის ჩამოსასხმელი ქარხანა, ბათომის ჩაის მოწყობილობათა დამამზადებელი ქარხანა, რომლებიც ნაწილობრივ უკვე მზადაა, ნაწილი მშენებლობის პროცესში იმყოფება, ხოლო ნაწილს ეხლა ეყრება საფუძველი, — აი ის ობიექტები, რომლებიც ხარაჩოებით სერავენ მთელ რესპუბლიკას.

საქართველოს მძიმე მრეწველობის ზრდის დასახასიათებლად საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი ციფრები: 1927—28 სამეურნეო წელში მძიმე მრეწველობის პროდუქციის ღირებულება უდრიდა 19 მილიონ მანეთს, 1932 წელს კი ის აღწევს 140 მილიონ მანეთს, ე. ი. იზრდება შვიდჯერ უფრო მეტად.

განუზომელია საბჭოთა საქართველოს მიღწევები, მენშევიკურ „სამოთხესთან“ შედარებით, ელექტროფიკაციის დარგში. საცოდავად მბჟუტავ წვრილ ელექტრო-სადგურების ნაცვლად საქართველოს ქალაქს ადგია ზაჰესი, აბჰესი, ახლო ხანში ამუშავდება რიონჰესი, ალაზანჰესი, პროექტში ხრამჰესი, ინჟ. მ. კოპაძის და ინჟ. პ. შენგელიას სქემები. ელექტროფიკაცია — ქვე

ყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძველია. ამიტომაც პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ამ დარგს. დამთავრდება თუ არა ერთი სადგური, უკვე მზადაა პროექტი მეორე სადგურის ასაგებად. საქართველოში, სადაც არ ყოფილა არც ერთი ჰიდროსადგური, უახლოეს წლებში ყველა მთავარი მდინარეები რკინაბეტონში იქნება გაკრული და მათი ძალა დაუქვემდებარდება სოციალისტური მშენებლობის ინტერესებს.

ელექტროენერგიის გამომუშავება გიგანტური ნაბიჯებით იზრდება. 27—28 წელში გამომუშავებული იქნა თხი მთელი და ხუთი მეათედი მილიონ კილოვატი საათი, 1932 წელს კი ეს რაოდენობა ავიდა 85,5 მილ. კილოვატ საათამდე.

განვლილ თორმეტი წლის განმავლობაში მძიმე მრეწველობასთან ერთად შეიქმნა ძლიერი მსუბუქი მრეწველობა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში არ ყოფილა მსუბუქი ინდუსტრიის არც ერთი მნიშვნელოვანი წარმოება. ამჟამად კი ჩვენ გვაქვს თანამედროვე ტექნიკით უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი მთელი რიგი საწარმოები. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა საქართველოს სამკერვალო, აბრეშუმის და საფეიქრო მრეწველობა.

მენშევიკურ საქართველოში არც ერთი სამკერვალო ფაბრიკა არ ყოფილა. სამკერვალო ტრესტის ფაბრიკები თბილისში, ბათუმში და ქუთაისში ყველა ახლადაა მოწყობილი ეს ფაბრიკები შეიქმნა პირველ ხუთწლედში.

აბრეშუმის მრეწველობის დარგში არსებობდა ერთად-ერთი ძაფსალები ფაბრიკა სამტრედიაში, რომელიც სრულიად განადგურდა და გაფართოვდა. შენობაც კი შეიცვალა. ახლად აიგო ძაფსალები ფაბრიკები: ქუთაისში, ხონში, ოზურგეთში, თელავში; აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა—თბილისში და ქუთაისში, აბრეშუმის სატრიკოტაჟო ფაბრიკა—თბილისში. ამას გარდა, ხონში აგებულია აბრეშუმის ნარჩენების გადამამუშავებელი ფაბრიკა.

საფეიქრო მრეწველობის ხაზით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არსებობდა წვრილი სახელოსნოები. ამჟამად კი თბილისს ამშვენებს უკანასკნელი კონსტრუქციის მანქანებით მოწყობილი მაუდ-კამვოლის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველო". მაუდის ფაბრიკა აშენდა ქუთაისშიც. ორივე ეს ფაბრიკა საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებენ.

განსაკუთრებით დიდია საბჭოთა საქართველოს მიღწევები სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად მენშევიკების დროს სოფლის მეურნეობამაც ძლიერი დაცემა განიცადა. 1920 წელში 1913 წელთან შედარებით მარცვლოვანი კულტურების ნათესები 697.900 ჰექტარიდან შემცირდა 479.900 ჰექტარამდე, თამბაქო—10.444 ჰექტარიდან 1457 ჰექტარამდე. ბამბის ნათესები სრულიად მოისპო (1913 წელს იყო 8.198 ჰექტარი). ვენახების ფართობი 45.000 ჰექტარიდან შემცირდა—30.000 ჰექტარამდე.

საბჭოთა ხელისუფლებამ არა თუ აღადგინა ეს დანგრეული მეურნეობა, არამედ შეუდგა მის გარდაქმნას სოციალისტურ საფუძველზე. პრიმიტიული კავის ნაცვლად საქართველოს სოფელში შეიჭრა ტრაქტორი და გაუმჯობესებული მანქანა-იარაღები. ამჟამად სოფლის სოციალისტური სექტორის განკარგულებაშია 1.800 ტრაქტორი, 12.500 კულტივატორი, 700 სალეწი მანქანა, 1425 სათიბი მანქანა, 710 ტრიერი, 2700 სათესი მანქანა და სხვ.

1931 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საქმეზე დახარჯა—71.870 ათასი მანეთი, 1932 წელში ეს თანხა ავიდა უკვე 124.865 ათას მანეთამდე.

ამჟამად საქართველოში არსებობს 166 საბჭოთა მეურნეობა 252.000 ჰექტარი ნათესით და 3417 კოლექტიური მეურნეობა, რომლებშიაც გაერთიანებულია 165.669 მეურნე. კოლმეურნეობათა რიცხვი დღითიდღე იზრდება.




კულტურული მშენებლობის დარგში საბჭოთა საქართველომ არაჩვეულებრივად გაუსწრო იმ დონეს, რომელიც მენშევიკების დროს არსებობდა. მოისპო წერა-კითხვის უცოდინარობა, გაიზარდა მოსახლეობის კულტურული დონე. შემოღებულია საყოველთაო-სავალდებულო სწავლება, რომელიც 1929—30 სასწავლო წლიდან ტარდება, საყოველთაო სავალდებულო სწავლება შვიდწლედის ფარგლებში გატარებულია 27 ქალაქში და 11 რაიონში.

თუ ავიღებთ სკოლების რიცხვს, აქ ჩვენ უდიდესი მიღწევები გვაქვს. მენშევიკების დროს საქართველოში არსებობდა 1745 ოთხწლედი 136.382 მოწაფით, ამჟამად კი გვაქვს 3610 ოთხწლედი, რომლებშიაც გაერთიანებულია 373.600 ბავში. მეორე საფეხურის სკოლა მენშევიკების ბატონობის დროს იყო 179 (წინაალმდეგ 215-სა მეფის მთავრობის დროს), 1932 წლის ბოლოსთვის კი ჩვენ გვქონდა 745 სკოლა 87.474 მოწაფით. განსაკუთრებით დიდია ჩვენი მიღწევები უმაღლესი ცოდნის გავრცელების დარგში. 1920—21 წელს საქართველოში იყო 4 უმაღლესი სასწავლებელი 5540 სტუდენტით, 1932 წლისათვის კი ჩვენ გვქონდა 18 უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი, რომლებშიაც გაერთიანებულია 15.850 სტუდენტი.

არსებითად შეიცვალა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სოციალური შემადგენლობა. საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენცია მუშათა კლასის რიგებიდან მზადდება. 1931—32 წლისათვის ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში მუშები 45 პროც. შეადგენდენ. სტუდენტებიდან პარტიის წევრები იყო 20 პროც., კომკავშირელები—45 პროც., უპარტიოები—35 პროც.

საბჭოთა ხელისუფლების დროს სახალხო განათლების და კულტურული მშენებლობისათვის იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტის 31,1 პროც. ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის 53 პროც. 1928—29 წელთან შედარებით 1932 წლის სახალხო განათლების ბიუჯეტი 400 პროც. გადიდდა.

დიდი ყურადღება ექცევა სამეცნიერო მუშაობის გაშლას. 1920—21 წელს საქართველოში არსებობდა 10 სამეცნიერო დაწესებულება, ამჟამად კი ახლების რიცხვი 146 აღწევს. გაიზარდა სახელოვნო ფრონტიც. მარტო თბილისში არსებობს ორი ქართული დრამატიული თეატრი. არ არის პროვინციაში არც ერთი ქალაქი და მოზრდილი დაბა, რომელსაც მუდმივი თეატრი არ ჰქონდეს.

ასეთია საბჭოთა საქართველოს მიღწევები თორმეტი წლის მანძილზე. ეს მიღწევები მოპოვებულია პარტიის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გატარების საფუძველზე. პარტიამ გასტეხა კლასობრივი მტრების გააფთრებული წინააღმდეგობა, მოსპო კონტრ-რევოლუციონური პარტიების ნაშთები და ქვეყანა მიიყვანაა მეორე ხუთ წლედამდე უკლასო სოციალისტური საზოგადოების შექმნის ხუთწლედამდე, რომლის „ძირითად პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების საბოლოო ლიკვიდაცია, იმ მიზეზების სრული აღმოფხვრა, რომლებიც წარმოშობენ კლასობრივ განსხვავებას და ექსპლოატაციას, კაპიტალიზმის ნაშთების გადალახვა ეკონომიკასა და ადამიანების შეგნებაში და ჩვენი ქვეყნის მთელი მშრომელი მოსახლეობის გადაქცევა უკლასო სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ და აქტიურ მშენებლებად".

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს 12 წლის თავს!

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ლენინურ ცეკას ამხ. სტალინის მეთაურობით.

# წითელი არმია—სოციალისტური მშენებლობისა და მშვიდობიანობის გუშაგი

საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები—მთელი მსოფლიოს რევოლუციონურ მუშებთან და გლეხებთან ერთად ზეიმობენ თავის სისხლ-ხორცის—წითელი არმიის 15 წლის თავს.

წითელი არმიის 15 წლის თავის ზეიმი გვიხდება იმ დღეებში, როცა მსოფლიო იმპერიალისტების „ოჯახის" ერთ-ერთი წევრი—იაპონიის იმპერიალიზმი მთელ რიგ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ლოცვა-კურთხევით არ კმაყოფილდება იმით, რომ შარშან ჩინეთს მოჰგლიჯა უზარმაზარი ტერიტორია—მანჯურია, რომელიც გარეგნული „დამოუკიდებლობის" ზოგიერთი ატრიბუტების მიუხედავად სინამდვილეში თავის კოლონიად გადააქცია და ახლა კვლავ აპირებს ჩინეთისაგან ახალი მოზრდილი ტერიტორიის ჟეჰეს პროვინციის ჩამოგლეჯას—სდგამს მორიგ ნაბიჯს ჩინეთის დაქუცმაცების და დამონების გზაზე.

წითელი არმიის 15 წლის თავის ზეიმი გვიხდება იმ დღეებში, როცა ჟენევაში იმპერიალისტები მეათას ერთხელ იმეორებენ განიარაღების კომედიას. მხოლოდ საბჭოთა კავშირის დელეგაცია გამოდის ჟენევაში განიარაღების გულწრფელი, პირდაპირი და რეალური გეგმებით.

მსოფლიოში არ მოიპოვება არმია, რომელიც ასე ფხიზლად და ყურადღებით ადევნებდეს თვალყურს იმას, რაც ხდება ჟენევაში—ე. წ. „განიარაღების კონფერენციაზე", ვიდრე წითელი არმია—წითელარმიელიდან დაწყებული მთავარსარდლამდე, ვინაიდან მსოფლიოში არ მოიპოება არმია, რომელიც უბრალო მებრძოლიდან მთავარსარდლამდე გამსჭვალული იქნებოდა ისეთი ერთსულოვნებით, ერთი მიზნით მისწრაფებით და სურვილით, როგორიც ახლა დგმულებს წითელ არმიას, სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის, მუშათა და გლეხთა წითელ არმიას. არ არის მსოფლიოში არმია, რომელსაც ასე გულწრფელად სწადია მშვიდობიანობა და რომელიც ამავე დროს ყოველწუთს მზად არის, როგორც ერთი კაცი, წითელ-არმიელიდან მთავარსარდლამდე, თუ საჭირო გახდა, დადგეს საბჭოთა ქვეყნის სადარაჯოზე და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლოს სოციალისტურ სამშობლოს დასაცავად.

არ არის მსოფლიოში ქვეყანა, სადაც მასები, მთავრობა და არმია ასე ერთსულოვანი იყოს, ასე მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული როგორც საბჭოთა კავშირში, რადგან საბჭოთა კავშირი წარმოადგენს გამარჯვებული პროლეტარიატის ქვეყანას, ვინაიდან მისი მთავრობა არის მუშათა და გლეხთა მთავრობა, რადგან მისი არმია არის სოციალიზმის მშენებელი მშრომელი მასების ხორცი ხორცთაგან და სისხლი სისხლთაგან.

ამ დროს, როცა დიდ და პატარა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დელეგაციების თანამშრომლობას ჟენევაში წარმოადგენს მშვიდობიანობაზე და განიარაღებაზე ფარისევლური ლაპარაკის საშუალებით დაფარონ თავიანთი მთავრობების საომარი სამზადისი და მათ ზურგს უკან დგანან მხოლოდ მბრძანებელი კლასები და არმიების მხოლოდ ხელმძღვანელი პირები, წინააღმდეგ კი—მთელი მშრომელი მასა, უმრავლესობაში ძალიან გარღვეული მუშები და გლეხები, საბჭოთა დელეგაცია ჟენევაში გამოდის, როგორც წარმომადგენელი მსოფლიოს ერთად-ერთ-სახელმწიფოსი, რომელიც არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით ამტკიცებს თავის მზადყოფნას დაიცვას მშვიდობიანობა და რომლისაც ამ მისწრაფებაში ერთსულოვნად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის მთელი მშრომელი მასები. მთელი ჩვენი შეიარაღებული ძალები,



„არც ერთი მტკაველი სხვისი მიწა ჩვენ არ გვინდა, მაგრამ არც ჩვენს მიწას, ჩვენი მიწის არც ერთ მტკაველს არავის მივსცემთ".

**ი. სტალინი.**

საბჭოთა ხელისუფლებამ ეს თავისი მისწრაფება მშვიდობიანობისაკენ დაამტკიცა თავისი არსებობის პირველი დღიდან (დეკრეტი ზავის შესახებ), მას შემდეგ, რაც იმპერიალისტებმა ჩაეფუშათ საბჭოთა ხელისუფლების ინტერვენციის საშუალებით და თეთრგვარდიელთა ბანდების ხელით მოსპობის იმედები, საბჭოთა მთავრობას არა ერთხელ მიუცია სრული ან თუნდ ნაწილობრივი განიარაღების წინადადება, გამოუთქვამს მზადყოფნა—წავიდეს ყოველგვარ შეთანხმებაზე, რომელიც რამდენიმედ მაინც ხელს შეუწყობს მშვიდობიანობის საქმეს, მაგრამ ამ ჩვენს გულწრფელ წინადადებებს სისტემატიურად უარყოფენ იმპერიალისტები, უფრო მეტი, იმპერიალისტები მეორე ინტერნაციონალის დახმარებით ცდილობდნენ და ცდილობენ ჩაგვითრიონ ჩვენ ომში. საბჭოთა მთავრობას თანამიმდევრობითი მშვიდობიანობის პოლიტიკის წყალობით ამ პროვოკაციებიდან არაფერი გამოვიდა, რომ ეს ჩვენი მისწრაფება მშვიდობიანობისაკენ წარმოადგენს ჩვენს გულწრფელ სურვილს. შედეგს

იმისას, რომ საბჭოთა კავშირს არ აქვს არავითარი აგრესიული, დაპყრობითი მიზნები და არა ჩვენი სისუსტის შედეგს. ამის ნათელი გაკვეთილი მიიღეს იმპერიალისტებმა შორეულ აღმოსავლეთში, სადაც იმპერიალისტების მიერ მოსყიდულ ჩინელ გენერლებს ძვირად დაუჯდათ თავისი თავხედობა და ჩვენი სოციალისტური მშენებლობის თვის ხელის შეშლის ცდა.

მთელი ბრძოლა ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელთა ბანდების წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების მრავალი წლის ბრძოლა მშვიდობიანობისათვის, წინააღმდეგ იმპერიალისტების პროვოკაციული ცდებისა, ნათლად უმტკიცებს ჩვენი ქვეყნის თვითეულ მშრომელს, რომ მხოლოდ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია—მტკიცე საძირკვლის შექმნა საბ. კავშ. თავდაცვის უნარიანობისათვის, ამ თავდაცვის უნარიანობის განუწყვეტელი განმტკიცება და გაღრმავება, ჩვენი წ.-არმიის ყოველმხრივ განმტკიცება, მისი შეიარაღება უახლესი საბრძოლო ტექნიკით, მისზე ყოველდღიური ზრუნვა წარმოადგენს მშვიდობიანობის სა-



საქ. ცხენოსან ლეგიონში მთელი მეთაურთა შემადგენლობა ჩაბმულია მარქსისტულ-ლენინურ სწავლებაში.
სურათზე—მეთაურები ამხ. მიქმარიაშვილი, ქლენტი და ბუზბურიძე პირად მეცადინეობაზე.

თელი საწინდარია, საბჭოთა ქვეყანაში მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის უზრუნველყოფის საწინდარია.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ „საერთაშორისო მდგომარეობა კვლავ მოგვაგონებს ჩვენ სიფხიზლის გაძლიერების საჭიროებას, განსაკუთრებით ყურადღების გაძლიერებას მდგომარეობისადმი შორეულ აღმოსავლეთში, ამან თავისი გამოხატულობა უნდა ჰპოვოს, მთელს ჩვენს მუშაობაში და მთელს ჩვენს მშენებლობაში, რომელიც წარმოადგენს ჩვენი ეკონომიური და პოლიტიკური ძლევამოსილების ზრდის საფუძველს" (მოლოტოვი).

ჩვენი წითელი არმია, გაზრდილი რევოლუციონური გმირული წითელი გვარდიიდან, იზრდებოდა და მტკიცდებოდა სამოქალაქო ომის ცეცხლში და გრიგალში, იზრდებოდა და მტკიცდებოდა ჩვენს პროლეტარულ სახელმწიფოსთან ერთად. სუსტად შეიარაღებული, სუსტად მომარაგებული, იგი იმარჯვებდა ინტერვენტებზე და უკანასკნელთა მიერ შეიარაღებულ თეთრგვარდიელთა არმიებზე, თავისი კლასობრივი შეგნების, თავისი კლასობრივი დარაზმულობის, რევოლუციონური სულისკვეთების წყალობით, ტექნიკურად კი ის ყველაზე ჩამორჩენილი არმია იყო ევროპაში, როგორც ამხ. ქ. ვოროშილოვმა აღნიშნა მოსკოვის გარნიზონის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე (1933 წ. 20 იანვარს).

პირველი ხუთწლედის წარმატებით შესრულებამ სრულიად შესცვალა ეს მდგომარეობა: შესაძლებელი გახდა წითელი არმიის ტექნიკურად შეიარაღება, წითელი არმიის ტექნიკური რეკონსტრუქცია ინდუსტრიის მძლავრი განვითარების საფუძველზე, წითელი არმიის კლასობრივი შეგნებისა და რევოლუციონური სულის კიდევ უფრო განმტკიცება და გაძლიერება მოწინავე სამხედრო ტექნიკით.

იმ ზრუნვის შედეგათ, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება და პარტია და კერძოთ ამხ. სტალინი იჩენდნენ ჩვენი წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობის განმტკიცების საკითხებისადმი, იმ უდიდესი დახმარების წყალობით, რომელსაც ჩვენს ხელისუფლებას ამ საქმეში უწევდნენ ჩვენი ქვეყნის ფართო მშრომელი მასები მ ენერგიული, ბოლშევიკური მუშაობის წყალობით, რომელიც ამ მხრივ ჩაატარა წითელი არმიის უმაღლესმა სარდლობამ-მ „ბოლო წლების დამლევის წითელი არმია სრულიად არა ჰგავს 1927 — 28 წ. წ. არმიას" (ქ. ვოროშილოვი): მისი უახლესი ტექნიკით შეიარაღების, მისი ტექნიკური კადრებით და მომზადებული მეთაურებით უზრუნველყოფის საქმეში მიღებულია უდიდესი წარმატებები. „... სუსტი და თავდაცვისათვის მოუმზადებელი ქვეყნიდან საბჭოთა კავშირი გადაიქცა თავდაცვის უნარიანობის მხრივ ძლევამოსილ ქვეყნად, ყოველგვარ მოულოდნელობისათვის მზად მყოფ ქვეყნად, ქვეყნად, რომელსაც შეუძლია მასიურად დაამზადოს თავდაცვის ყველა თანამედროვე იარაღები და გარედან თავდასხმის შემთხვევაში მიაწოდოს ისინი თავის არმიას" (სტალინი).

სწორედ ამ ჩვენი თავდაცვის უნარიანობის ძლევამოსილობის ზრდამ სოციალისტური მშენებლობის ფართოდ გაშლის საფუძველზე და თავისი ზურგის შიგნით—კლასობრივი ბრძოლების და მასებში რევოლუციონური განწყობილების ზრდის შედეგად—შენელა რამდენიმეთ, როგორც ამხ. ვოროშილოვმა აღნიშნა ზემოხსენებულ მოხსენებაში, ინტერვენციონისტული მისწრაფებები საბჭოთა კავშირის დასავლეთით და რამდენიმეთ—აღმოსავლეთით.

წარსულ წელში მთელი რიგი ბურჟუაზიული სახელმწიფოები იძულებული გახდნენ დაედვათ საბჭოთა კავშირთან თავდაუსხმელობის პაქტი, ამ სახელმწიფოებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია საფრანგეთი (რომელმაც ახლახან დაამტკიცა ეს პაქტი) და პოლონეთი. თავდაუსხმელობის პაქტის დადება ამ სახელმწიფოებთან წარმოადგენს ბრწყინვალე გამარჯვებას საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანი პოლიტიკისას, რომელიც ეყრდნობა საბჭოთა ქვეყნის ძლევამოსილების შეუჩერებელ ზრდას.

მაგრამ დნესტრის ნაპირებზე და განსაკუთრებით შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირისა და მშვიდობიანობის მტრები კვლავ აგდებენ თავის პროვოკაციულ გეგმებს, მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე მშვიდობიანმა პოლიტიკამ იმედები გაუცრუა ომის პროვოკატორებს.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა—არის მშვიდობიანობის პოლიტიკა. მაგრამ ეს პოლიტიკა წარმოადგენს არა ჩვენი უძლურების, არამედ ჩვენი სიძლიერის შედეგს.

საბჭოთა მთავრობა ეყრდნობა მშრომელი მასების უსაზღვრო ნდობას და მხარის დაჭერას, მის განკარგულებაშია მსოფლიოში ერთად - ერთი ასეთი კლასობრივად შეგნებული და რევოლუციური ენტუზიაზმით გამსჭვალული არმია, როგორიც არის წითელი არმია. საბჭოთა მთავრობა ეყრდნობა ქვეყნის ეკონომიური სიძლიერის ზრდას. საბჭოთა მთავრობა ეყრდნობა კაპიტალისტური ქვეყნების ასეულ მილიონ მშრომელთა თანაგრძნობას და მხარის დაჭერას, არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს არ აქვს ასეთი მტკიცე დასაყრდენი. და თუ მიუხედავათ ამისა, საბჭოთა ხელისუფლება დღიდან თავის არსებობისა მაინც ატარებს მშვიდობიანობის მტკიცე პოლიტიკას—ეს იმიტომ, რომ მას არა აქვს არავითარი იმპერიალისტური მიზნები დაპყრობითი, აგრესიული მიზნები, მხოლოდ მეორე ინტერნაციონალის გაბოროტებულ ლიდერებს შეუძლიათ კიდევ ილაპარაკონ „წითელ იმპერიალიზმზე" მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა მსოფლიოს მისცა თავისი მშვიდობიანობის მოყვარეობის აურაცხელი მაგალითები.

საბჭოთა კავშირი მომავალშიც განაგრძობს თავის ნაცად მშვიდობიანობის პოლიტიკას, მაგრამ ამასთან ერთად საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები ერთი წუთითაც არ შეასუსტებენ ზრუნვას თავისი შეიარაღებული ძალების — სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო ძალების შემდგომ განმტკიცებაზე და გაძლიერებაზე, მის შეიარაღებაზე მოწინავე სამხედრო ტექნიკით.

ჩვენი ქვეყნის ფხიზელი გუშაგი წითელი არმია კი განაგრძობს შემდგომ ბრძოლას სამხედრო სწავლების კიდევ უფრო მაღალ დონეზე დაყენებისათვის, სამხედრო ტექნიკის დაუფლებისათვის, მუდამ მზად იქნება განახორციელოს ჩვენი საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის ლოზუნგი: „არც ერთი მტკაველი სხვისი მიწისა ჩვენ არ გვინდა, მაგრამ არც ჩვენს მიწას, ჩვენი მიწის არც ერთ მტკაველს არავის მივცემთ".

წითელი არმიის 15 წლის თავი არის მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების, მთელი მსოფლიოს რევოლუციონური მუშათა კლასის დღესასწაული, რადგან წითელი არმია არის მსოფლიოში ერთად ერთი არმია, რომელიც წარმოადგენს არა მშრომელთა დამონების იარაღს, არამედ სოციალისტური მშენებლობის გუშაგს, საერთაშორისო მშვიდობიანობის და კაცობრიობის განმათავისუფლებელი მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის მტკიცე დასაყრდენს.

მ. რ—ძე.



# ლენინი და წითელი არმია*)

ვლადიმირ ილიჩის სამხედრო მუშაობა დაიწყო ემიგრაციიდან პეტროგრადში დაბრუნების პირველ დღეებიდანვე. ამ დროს გაფართოებული ბრძოლა სწარმოებდა ძველი არმიის დაპყრობისათვის, ვინაიდან მის პოზიციაზე იყო დამოკიდებული რევოლუციის შემდგომი ბედი. ბურჟუაზიულ შეთანხმებლური პარტიები მუშაობდნენ იმაზე, რომ ჯარისკაცთა მასა აემხედრებიათ რევოლუციის მებაირაღტრის—ბოლშევიკური პარტიის მოსასპობათ. ამ კრიტიკულ და უაღრესად საპასუხისმგებლო მომენტში ბოლშევიკების სამხედრო ორგანიზაცია გიგანტურ სააგიტაციო და ორგანიზაციულ მუშაობას ეწეოდა. ეს მუშაობა მოითხოვდა ცხად სისტემატიურ დირექტივებს, და ამ დირექტივებისათვის სამხედრო ორგანიზაცია მიმართავდა ვლადიმირ ილიჩს, იმ მიზნით, რომ მიმართულება მიეცა ამ უაღრესად საპასუხისმგებლო საქმისათვის. ვლადიმირ ილიჩი მუშაობაში მისდევდა საკუთარ მეთოდს და აღწევდა უაღრესად ზუსტსა და უაღრესად ფაქტიურ ინფორმაციას.

ამრიგად ვლადიმირ ილიჩი ჩვენი პარტიის სამხედრო მუშაობაში ჩაება ჩამოსვლის დღიდანვე. მას იგი არ მიუტოვებია მაშინაც კი, როცა არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა ივლისის ამბების შემდეგ. ამ მუშაობამ ვლადიმირ ილიჩს მისცა მასალების კოლოსალური მარაგი, უდიდესი გამოცდილება და, რაც მთავარია, ორგანულად დააკავშირა იგი სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელ მასასთან და აქტივთან. ვლადიმირ ილიჩის სამხედრო მუშაობის ოქტომბრის წინა ფაზა დამთავრდა ჯარისკაცთა მასების პოლიტიკური აღზრდისათვის მიმართულების მიცემით და ოქტომბრის აჯანყებისათვის აგიტაციით და წითელი გვარდიის შესახებ სადირექტივო მითითებებით.

ოქტომბრის დღეები წარმოადგენენ შემდგომ სტადიას ვლადიმირ ილიჩის სამხედრო მუშაობაში, რომელიც ამდიდრებს მას სამხედრო სტრატეგიული და ტაქტიკური პრაქტიკით.

პეტროგრადზე კერენსკის და კრასნოვის შეტევის დროს ვლადიმირ ილიჩი სამხედრო მუშაობაში გამოდის უკვე, როგორც მებრძოლი ძალების მობილიზატორი და სამხედრო ოპერაციების ორგანიზატორი. როგორც კი მიღებული იქნა ცნობა, რომ კერენსკი და კრასნოვი უტევენ პეტროგრადს, ვლადიმირ ილიჩმა სწრაფად გაითვალისწინა, რომ მათი დაუყოვნებლივ შემუსვრა წარმოადგენდა მთავარ ამოცანას იმ მომენტში, ამიტომ ვლადიმირ ილიჩმა მთელი ყურადღება მიაქცია ამ ამოცანას—კერენსკის და კრასნოვის შემუსვრის ორგანიზაციას.

ის ბრწყინვალედ აწყობს ამ საქმეს, ვინმესთვის ხელის შეუშლელად, არამედ-პირიქით-ყველასათვის დახმარების აღმოჩენით, თავის თავზე უშუალო მთავარსარდლობის აუღებლად, ვინმესთვის კაბინეტურ სქემების და პროგრამების თავზე მოუხვევლად ვლადიმირ ილიჩი დაკვრითი წესით ჰკრებავს პროლეტარული ორგანიზაციის ყველა ძალებს, ფაბრიკების, ქარხნების და ყაზარმების ძალებს იმისათვის, რომ მათ ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით სასწრაფოდ მოეწყოთ პროლეტარიატის დიქტატურის დაცვა. ეს მუშაობა ვლადიმირ ილიჩმა ჩაატარა თითქმის შეუმჩნევლად სხვებისათვის.

თავდაცვის ოპერაციები გადაცემული ჰქონდა განსაკუთრებულ მთავარსარდლობას. ამ მთავარსარდლობის ოპერატიულ მუშაობაში ჩაურევლად ვლადიმირ ილიჩმა გააკეთა ყველაფერი, რომ სარდლობის გეგმებისათვის უზრუნველყო სიმწყობრე და დაკვრითი ხასიათი. ამ მუშაობას ის ჯერ ატარებდა სმოლნის თავის პატარა სამუშაო ოთახში, მაგრამ შემდეგ, რომ პარალელიზმი და არევ-დარევა არ შეეტანა თავდაცვის საქმეში, მან მოითხოვა, რომ მთავარსარდლობის ოთახში მისთვის დაედგათ პატარა მაგიდა, ეს იმ მიზნით, რომ ოპერატიული მუშაობისათვის ხელის შეუშლელად გაეგონა და დაენახა ყველაფერი რაც ხდებოდა პეტროგრადის თავდაცვის გენერალურ შტაბში.

შტაბში მიდიოდნენ ასეული დელეგაციები პეტროგრადის ფაბრიკა-ქარხნებიდან, ყაზარმების ასეული წარმომადგენლები. აქ მოდიოდნენ ოპერატიული, საორგანიზაციო, მომარაგების და ადმინისტრატიული დირექტივებისათვის, მითითებებისათვის განცხადებებით და მოთხოვნებით. ვლადიმირ ილიჩმა შესანიშნავად აირჩია ეს პუნქტი თავისი მუშაობისათვის, ვინაიდან ხედავდა, თუ სად იყო საჭირო დახმარების აღმოჩენა მთავარსარდლობისათვის და სად შეეძლო უკანასკნელს საქმის გაძღოლა უმისოდ. როდესაც ქარხნების დელეგაციები, ყაზარმების წარმომადგენლები დაკმაყოფილდებოდნენ სარდლობის განკარგულებით და დახმარებით, ვლადიმირ ილიჩი არ ერეოდა ამ საქმეებში, მაგრამ, როდესაც სარდლობა ვერ ახერხებდა ან უძნელდებოდა რაიმე საკითხის გადაწყვეტა, რომელსაც ჰქონდა ორგანიზაციული, მომარაგების ან თუნდაც ოპერატიული ხასიათი მაშინ მთელი თავისი ავტორიტეტით ჩნდებოდა ლენინი და მთელ ენერგიას უთმობდა ამ საკითხის გადაჭრას. ის ამას აკეთებდა ან იქვე ოთახში, სარდლობასთან ერთად, ან თუ საკითხის იქვე გადაჭრა იყო ძნელი, ვლადიმირ ილიჩს მთელი დელეგაცია ან ცალკე მუშები და ჯარისკაცები თან მიჰყავდა თავის სამუშაო ოთახში რეკდა ტელეფონით, სწერდა ბარათებს, წერილებს პარტიულ ორგანიზაციებს და დ... წესებულებებს.

ვლადიმირ ილიჩისათვის ჩვეულ სიმტკიცესთან, მოქმედების სისწრაფესთან ერთად ის დიდ სიფხიზლეს იჩენდა სამხედრო მშენებლობის საქმეში. ის ჯერ მოისმენდა [illegible] ამხანაგების აზრს, რომლებიც პრაქტიკულად აწარმოებდნენ მუშაობას და რაც მთავარია რამდენჯერმე ამოწმებდა ფართო მასების დამოკიდებულებას.

15 დეკემბრისათვის სამხედრო საქმეთა კომისარიატმა მოიწვია ყრილობა ძველი არმიის დემობილიზაციის შესახებ. ამ ყრილობის დელეგატების წინასწარ თათბირზე ლენინი ყველა ამხანაგებს დაკითხვებით უყენებდა ერთსა და იმავე საკითხებს:

— იბრძოლებენ თუ არა ჩვენი არმიები, რომ გერმანელებმა დაიწყონ დაუყოვნებლივი შეტევა?

— შეუძლია თუ არა ჩვენს ცხენებსა და რკინისგზის შემადგენლობას ფრონტის რაიონიდან ღრმა ზურგში გამოიტანონ მილიონიანი ქონება, რომელიც გამოიხატება მძიმე და მსუბუქ არტილერიაში, საინჟინერო ტექნიკურ მოწყობილობაში და სამხედრო მასალებში.

ამ კითხვაზე უმრავლეს შემთხვევებში იძლეოდნენ უარყოფით პასუხს. ამ თათბირის შემდეგ ვლადიმირ ილიჩი გვეუბნებოდა ჩვენ:

— ფრონტის ასეთი უნუგეშო სტრატ... პირობებში, მხოლოდ სულელებს შეუძლიათ ლაყბობა რევოლუციურ ომზე და პროტესტი განაცხადონ იმ დათმობათა წინააღმდეგ, რომლებზედაც ჩვენ იძულებული ვართ წავიდეთ, რომ ვიყიდოთ ზავი. ყველა ჩვენი დათმობები უფრო ნაკლებ... ეღირება, ვიდრე დანაკლისი, რომელიც ჩვენ გვექნებოდა ფრონტზე და ვიდრე ...



**ამხ. კ. ვოროშილოვი**

საბჭოთა კავშირის სამხედრო - საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი და სამხედრო - რევოლიუციონური საბჭოს თავმჯდომარე

---

*) ნ. პოდვოისკის მოგონებიდან.



ქართული ცხენოსანი ლეგიონის წითელარმიელები კითხულობენ ლეგიონის მრავალტირაჟიან გაზეთს—„იერიშს".

ტერიტორია, რომელსაც დაიკავებს გერმანია ჩვენი დამარცხების შემთხვევაში.

ვლადიმირ ილიჩი, რომელიც გერმანელების შეტევამდე სიფრთხილით უდგებოდა წითელი არმიის შექმნის საკითხს, ბრესტის მოლაპარაკების მომენტისათვის სწყვეტს, რომ დადგა დრო სოციალისტური არმიის შექმნისათვის და ამ მნიშვნელობით აყენებს საკითხს პარტიის ცეკას წინაშე. მაგრამ როგორ უნდა დაეწყოთ მუშაობა იმ მძიმე პირობებში, რომლებშიც იმყოფებოდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა?

18 დეკემბერს (ძველი სტილით) სამხედრო საქმეთა კომისარიატი იწვევს სპეციალურ ვიწრო თათბირს წითელი არმიის შექმნის საკითხზე. ამ საკითხს სამხედრო საქმეთა კომისარიატი არკვევდა პეტროგრადის დაცვის დროიდან. ამ თათბირზე ლენინმა მოიწონა პრინციპი წითელი არმიის ორგანიზაციისა მოხალისეობის საფუძველზე თავდებობითა და რეკომენდაციებით მოხალისეთათვის. ამავე თათბირზე განხილული იქნა წითელი არმიის მომავალი მებრძოლების და მათი ოჯახის წევრების უზრუნველყოფის საკითხი. არმიის ორგანიზაციის საფუძვლად დაედო მოხალისეთა უჯრედები, რომელთა გამოყოფა სწარმოებდა ქარხნებში. მეთაურთა შემადგენლობა არჩეული უნდა ყოფილიყო რევოლუციური მუშებიდან და გლეხებიდან. ამ დებულების მიღება წარმოადგენს დასაწყისს ორგანიზაციული მუშაობისა წითელი არმიის შენებლობისათვის.

19 დეკემბერს (ძვ.სტ.) იქმნება სრულიად რუსეთის კოლეგია წითელი არმიის ორგანიზაციისა და ჩამოყალიბებისათვის. ეს კოლეგია ხელმძღვანელობს ძველი არმიის დემობილიზაციისათვის მოწვეულ ყრილობას, ყრილობას, რომელზედაც ჩამოვიდნენ ყველა ფრონტების წარმომადგენლები, უნდა შეემუშავებინა არა მარტო ძველი არმიის დემობილიზაციის გეგმა, არამედ ახალი, მუშურ-გლეხური არმიის ორგანიზაციის პრინციპიც. ამ ყრილობაზე სრულიად რუსეთის კოლეგიამ წითელი არმიის შექმნისა და ჩამოყალიბებისათვის პირველად მიმართა ყველა მუშებსა და გლეხებს დეკლარაციით მუშურ-გლეხური სოციალისტური არმიის შექმნის აუცილებლობის შესახებ. ყრილობის მონაწილენი, ყველაზე შეგნებულნი და პროლეტარული დიქტატურისათვის თავდადებულნი დაგზავნილი იქნენ ადგილებზე, როგორც სამხედრო ემისარები. კოლეგიამ ამ ემისარებს მისცა მანდატები ახალი არმიის ნაწილების ჩამოსაყალიბებლად ადგილებზე.

როცა სრულიად რუსეთის კოლეგიამ სთხოვა ვლადიმირ ილიჩს, რომ მას საბჭოთა სახელით მიემართა მანიფესტით ჩვენი მოსახლეობისათვის წითელი არმიის შექმნის შესახებ მან უარჰყო ეს აზრი და გვირჩია მეორე გზა—გადაწყვეტილება წითელი არმიის შესახებ გამოგვეტანა არა ზევიდან, არამედ დემოკრატიული გზით—საბჭოების საშუალებით, ამასთან ერთად, მან წინადადება მოგვცა დაგვეწყო პეტროგრადის საბჭოდან, რომლის ხმას ეხმაურებოდნენ რესპუბლიკის ყველა საბჭოები.

ამ პერიოდში ჩვენთან საუბრის დროს ვლადიმირ ილიჩი ხშირად გვაძლევდა მითითებებს იმის შესახებ, რომ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს იმას, თუ რას ამბობენ მუშათა და გლეხთა ფართო მასები. წითელი არმიის ორგანიზაციასთან დაკავშირებით ვლადიმირ ილიჩი დაწვრილებით უგდებდა ყურს მუშათა საზოგადოებრიობის აზრს არა მარტო წითელი არმიის ორგანიზაციის, არამედ სხვა სახელმწიფოებრივ საკითხებშიც.

15 იანვარს (ძვ.სტ.) გაიმართა სახალხო კომისართა საბჭოს სხდომა, რომელზედაც თითქმის უცვლელად იქნა მიღებული სრულიად რუსეთის კოლეგიის მიერ შედგენილი დეკრეტი. დეკრეტი სახკომსაბჭოს სხდომის დღის წესრიგში შეტანილი იქნა ვლადიმირ ილიჩის მიერ თვით სხდომაზე, სრულიად მოულოდნელად სახკომსაბჭოს დანარჩენი წევრებისათვის. იქვე ვლადიმირ ილიჩმა მუხლობრივ გაარჩია დეკრეტი წითელი არმიის შექმნის შესახებ. ამავე სხდომაზე ვლადიმირ ილიჩმა თავისი ხელით შეიტანა დეკრეტში შესწორებები, რომლებითაც მან იდეოლოგიური, ორგანიზაციული და პროგრამული სიმწყობრე მისცა დეკრეტის პირვანდელ პროექტს.

კ. გოგოხიძე

# გმირთა საფლავთან

(სამოქალაქო ომში დაღუპულ წითელარმიელთა ხსოვნას)

ღამის წყვდიადში
დახრილ ჩრდილებით
ღრუბელი ბურავს
რიერთაის „ლოდინს",
დაირხევიან
ტოტნი ჩინრების
და მოისხანებენ
ძეგლების ლოდნი!
ელვის ისრები
ზეცას ჯავშნავენ,
რომ აამაღლონ
სახელი მხედრის;
ნისლთა ლაშქარი
მთვარეს აშავებს
და მთებს აშფოთებს
გავარდნა მეხის,
გაინავარდებს
პირქუშ რაშებად
ცაზე ღრუბელთა
მელევარე წყება,
ქარიშხალის შემდეგ
მთვარეც გაშრება
კლდის ფერდობივით
აილაწება.

იელვებს ველად
არიალდება
მეშფოთდებიან
მებრძოლთა ძვლებიც
თითქო ჩახერგზე
ჯანყი ჩაღდება
და მკვიდრდებიან
მოისხანე წლები!..
ვერ დაისვენოს
საფლავშიც გმირმა,
როცა ფრთალებს
დროშით ღრუბელი,
ამღელვარება
აწევბა გვირაბს
და შუბზე შემდგარ
გრიგალს უმღერის...
— გრიგალის გრიალს
უმზენდა ძველი
სალი კლდესავით
მდუმარედ მდგარი;
გმირებსაც გვამებს
ტიროდა თერგი
ბარიკადებზე
გმინავდა ქარი!..

# არარაობიდან გიგანტებამდე

## (რა იყო და რა გვაქვს მსუბუქ მრეწველობაში)

საბჭოთა საქართველოს 12 წელი შეუსრულდა. საერთოდ რომ ვსთქვათ, ისტორიულად 12 წელი ძლიერ მოკლე პერიოდია. მაგრამ საბჭოთა ქვეყნისათვის, კერძოდ, საბჭოთა საქართველოსათვის ეს წლები ბუმბერაზული მნიშვნელობისაა. **სოციალიზმისათვის ბრძოლის 12 წელი** —აბა, რომელი ასეული წლები შეედრება მას ძველი საქართველოს



თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა.—დამკვრელი ამხ. **შარაბიძე**, რომელიც დაეუფლა „ნობელის" დაზგაზე მუშაობის ტექნიკას.

ისტორიიდან. „ბოლშევიკური გაქანება პლიუს ამერიკული საქმიანობა"—აი, ამ პერიოდის მამოძრავებელი ძალები, მთავარი დამახასიათებელი ნიშანი.

შორეულ წარსულს რომ თავი დავანებოთ, მთელ საუკუნეზე მეტი დროის განმავლობაში საქართველო ითვლებოდა მეფის რუსეთის კოლონიად. ჟანდარმების ჩექმები ყოველ მხრივ უზღუდავდენ განვითარების გზებს ჩვენს ქვეყანას, ვინაიდან ეს მოასწავებდა დამპყრობელთა ძლიერების შესუსტებას. ყოველგვარი ადგილობრივი ინიციატივა ჟანდარმულ წინააღმდეგობას ხვდებოდა. ასეთი იყო მეფის პოლიტიკა და მას იშვიათი სიზუსტით ახორციელებდენ დამქაშები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩვენში მსუბუქი მრეწველობის მხოლოდ ჩანასახი არსებობდა.

მენშევიკურ „მთავრობას" როგორც საერთოდ, ისე მსუბუქი მრეწველობის ხაზითაც არაფერი გაუკეთებია: პირიქით, არსებულიც დაანგრია, გაანადგურა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ „დამოუკიდებელ" საქართველოში საკუთარი მრეწველობის შექმნა შეუძლებელი იყო, რადგან დასავლეთის იმპერიალისტების კაპიტალისტების ზრახვები არაფრით ჩამოუვარდებოდა მეფის რუსეთისას.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მუშათა კლასმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, გამარჯვებით დაამთავრა დიადი ოქტომბრისათვის ბრძოლა, ხელთ იგ-



თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა.—დამკვრელი ამხ. **ქავთარაძე.**

დო მართვა-გამგეობის საქმეები. მაგრამ რა მიიღო მან მემკვიდრეობად სახალხო მეურნეობაში, კერძოდ, მრეწველობის ხაზით? საკმაოა აღვნიშნოთ რომ ამ დროისათვის ყველაზე უფრო დაკეტილ 392 „საწარმოდან" მუშაობდა მხოლოდ ნახევარი, ისიც დიდი შეფერხებით. მანქანები და სხვა მოწყობილობანი გაცვეთილი და გაპარტახებული იყო. მაგალითად, თამბაქოს ფაბრიკებს, რომლებსაც სხვებთან შედარებით უკეთ უვლიდენ, მანქანები 61 პროც. უვარგისი ქონდა. სხვა საწარმოებში კიდევ უარესი მდგომარეობა იყო. ბუნებრივია, რომ რევოლუციის პირველ ხანებში მთელი ენერგიით სწარმოებდა ძველი ფაბრიკა-ქარხნების აღდგენა. ზოგიერთმა საწარმომ ამ „აღდგენის" პროცესში სრულიად დაჰკარგა პირველი სახე. ასეთია, მაგალითად, საბტრედიის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკა, რომელსაც აეზები სრულიად გამოუცვალეს და ფაბრიკის შენობაც კი ხელახლა აშენდა.

ცხადია, რომ მარტო ძველი ფაბრიკების აღდგენით არ შეიძლებოდა დაკმაყოფილება. მით უმეტეს, რომ მსუბუქი მრეწველობის განვითარებას საქართველოში დიდი შესაძლებლობა და პერსპექტივები ქონდა. საქართველოს მსუბუქი მრეწველობის აღდგენითი პერიოდიდან რეკონსტრუქციულ პერიოდში გადასვლა ემთხვევა პირველი ხუთწლედის პირველ წლებს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოეწყო მსუბუქი მრეწველობის ისეთი ძლიერი დარგი, როგორიცაა სამკერვალო წარმოება. აგებულ იქნა სრულიად ახალი სამკერვალო ფაბრიკები თბილისსა, ბათომსა და ქუთაისში. ამათ გარდა, თბილისში აგებულ იქნა სავარცხლების ფაბრიკა, ხოლო ფოთში ფოლაქების ფაბრიკა. აღნიშნული ფაბრიკების საწარმოო ძლიერების გასაგებად საკმაოა აღვნიშნოთ რომ 1932 წ. საერთო პროდუქცია სამკერვალო ტრესტის ხაზით უდრიდა 33 მილიონ მანეთს.

საქართველოს მუშათა კლასი არ შეიზღუდებულა მრეწველობის ერთ



თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის დამკვრელი ამხ. **ზურაბოვი.**

რომელიმე დარგზე. ას ყოველმხრივ იყენებდა და იყენებს ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეებს, მათ გადასამუშავებლად აგებდა ახალ მძლავრ საწარმოებს. უდიდესი მიღწევები გვაქვს აბრეშუმის მრეწველობის განვითარების დარგში. აგებულ იქნა აბრეშუმის საქსოვი ორი ფაბრიკა (თბილისსა და ქუთაისში). ახლად აიგო ძაფსაღები ფაბრიკები ქუთაისსა, ხონსა, ოზურგეთსა და თელავში და ძაფსაგრეხი ფაბრიკა ოზურგეთში. ამათ გარდა, 1932 წელს ხონში დამთავრდა დეპონის ფაბრიკის აგება, აქამდე აბრეშუმის მრეწველობის ნარჩენები (განსაკუთრებით, ტყუპი პარკი) იგზავნებოდა მოსკოვში, რადგან ადგილობრივ მისი გადამუშავება არ შეგვეძლო. ხონის ახლად აგებული ფაბრიკის დანიშნულება სწორედ ამ ნარჩენების გადამუშავებაა. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს ფაბრიკები აგებულია პირველ ხუთწლედში. აბრეშუმის ტრესტის საერთო პროდუქცია 1932 წელს უდრიდა 18 მილიონ მანეთს.

საფეიქრო მრეწველობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არარაობას წარმოადგენდა. ოთიოდე ბამბის ძაფსართავი სახელოსნო იყო მეფისა და მენშევიკების საქართველოს საფეიქრო მრეწველობის მთელი „სიამაყე". საბჭოთა საქართველომ განსაკუთრებული ენერგიით მოჰკიდა ხელი ამ ჩამორჩენილ დარგს. ამის შედეგად აგებულ იქნა საფეიქრო მრეწველობის ისეთი საკავშირო მაშტაბის გიგანტები, როგორიცაა თბილისისა და ქუთაისის მაუდის ფაბრიკები. მათ შორის, თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა თანამედროვე ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვითაა მოწყობილი. ამ ფაბრიკაში ათასამდე მუშა ითვლება. 1932 წელს ფაბრიკამ გამოუშვა 786.300 მანეთის პროდუქცია. საერთოდ საფეიქრო მრეწველობის პროდუქცია 1932 წელს უდრიდა 13,5 მილიონ მანეთს.

კოლოსალურად გაიზარდა მსუბუქ მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა რიცხვი. ხუთწლედის პირველ წელს ეს რიცხვი უდრიდა 2.884, ხოლო 1932 წელს 9.000 მიაღწია. მუშათა კლასის რიცხობრივ ზრდასთან ერთად განუწყვეტლივ უმჯობესდებოდა მუშათა კულტსაყოფაცხოვრებო პირობები, იზრდებოდა მუშათა კლასის მატერიალური დონე. 1928-29 წელს ერთი მუშის წლიური ხელფასი, საშუალოდ, 637 მანეთს უდრიდა ხოლო 1932 წელს კი 1.156 მანეთს, ამ ხნის განმავლობაში ხელფასის დონე 81,4 პროც. გაიზარდა. ამას უნდა დაემატოს სხვა ხარჯებიც (სკოლების, ბინების, საავადმყოფოების, სოც-დაზღვევის, და სხვ. სახით), რომელსაც საბჭოთა სახელმწიფო ხარჯავს მუშა მოსამსახურეებზე.

ამასთანავე იზრდებოდა ხარისხობრივი მაჩვენებლებიც. პირველი ხუთ წლედის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება 134,5 პროც. გაიზარდა. შრომის ნაყოფიერების ასეთი ზრდა არ ახსოვს არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას არამც თუ 4, არამედ ათეული წლების განმავლობაშიაც. მაგრამ ჩვენ არ გვაკმაყოფილებს მიღწეული შედეგები. ჩვენ არ გამოგვიყენებია ყველა შესაძლებლობანი ხარისხობრივი მაჩვენებლების მაქსიმალურად ზრდისათვის. ავიღოთ, მაგალითად თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა. როგორც აღვნიშნეთ, ეს საწარმო მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. მაგრამ ჯერ ჩვენ ვერ შევძელით ამ ახალი ტექნიკის მთლიანად ათვისება. ფაბრიკა განიცდის მაღალი კვალიფიკაციის მუშების დიდ ნაკლებობას. ფაბრიკის მოწყობილობის მთლიანად ათვისების პირობებში შესაძლებელია პროდუქციის გამოშვების თითქმის გაორკეცება. ამიტომ უმთავრეს ამოცანას უახლოესი დროისათვის შეადგენს ახალი ტექნიკის ათვისება. საკ. კ.პ. (ბ) ცეკას

ამხ. **სტალინი** ამბობდა: „პირველი ხუთწლედის პერიოდში ჩვენ შევძელით შეგვექმნა ენტუზიაზმი, **ახალი მშენებლობის** პათოსი და გადამწყვეტ წარმატებებს მივაღწიეთ, ეს ძლიერ კარგია. მაგრამ ეხლა ეს არ არის საკმარისი, ახლა ეს საქმე ჩვენ უნდა შევავსოთ ახალი ქარხნების და ახალი ტექნიკის **ათვისების** პათოსით, ენტუზიაზმით, შრომის ნაყოფიერების სერიოზული ამაღლებით, თვითღირებულების სერიოზული დაკლებით. **ეს არის ახლა მთავარი,** ვინაიდან მხოლოდ ამ ბაზაზე შეგვიძლია ჩვენ მივაღწიოთ, მაგალითად, მეორე ხუთწლედის მეორე ნახევრისათვის ახალ მძლავრ წინსვლას როგორც მშენებლობის, ისე სამრეწველო პროდუქციის ზრდის დარგში".

ეს ამოცანა მთელი სიგრძე-სიგანით სდგას საქართველოს მსუბუქი მრეწველობის წინაშე.

საბჭოთა საქართველოს არსებობის 12 წელმა ნაცარმტვერად აქცია ჩვენი მტრების, კერძოდ, მენშევიკების იმედები. წინააღმდეგ მათი წინასწარმეტყველებისა მუშათა კლასმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და კერძოდ, მსუბუქი მრეწველობის ხაზით უდიდეს წარმატებებს მიაღწია. იქ, სადაც წინათ კუსტარული სახელოსნოები, ან სულ არარაობა იყო, აშენდა ათეული ახალი ფაბრიკები. საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეები უკვე აღარ წარმოადგენენ იმპერიალისტების მადის დაკმაყოფილების საშუალებას. პირველი ხუთწლედი მსუბუქი მრეწველობის ხაზით მნიშვნელოვანი მიღწევებით დამთავრდა. წინ უდიდესი სამუშაოთა წლებია: ავითვისებთ რა ახალ ტექნიკას, გადამწყვეტ წარმატებებს მივაღწევთ პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდის დარგში და ბოლშევიკურად დავამთავრებთ უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების ხუთწლედს.

**ან. ჟურუა**



წითელ-არმიელი ამხ. ბულიაშვილი საუბრობს თავის მამას და ძმას — კოლმეურნეობა „ოქტომბრის" (ხაჩხერის რაიონი) წევრებს — დამკვრელებს საკ. კ.პ. (ბ) ცეკა-ს და ცენტრ. საკ. კომისიის პლენუმის შედეგებზე.

# უჩარდიონი*)

## პოემის მესამე ნაწილი

1.

ყრილობა შეხდგა ოცდარვას, დილით,
და არსებითი საკითხი დასვა.
აქ მოკლედ არი გადმობეჭდილი
გულდას გამოსვლა, კამათი და სხვა.

-- ამხანაგებო! —
ამბობდა გულდა,
როგორც ვთქვი, უქმი მსჯელობა მძულს და,
აქ სამუშაო ბევრია, მუდამ
დრო კი მოკლეა და აი დასკვნა:

გარემოების საუკეთესო
ახსნას ლენინის წერილში ვხვდები:

„თუ ძველებურად—
წვრილ ანუ კერძო
მეურნეობის ხელში ვიხხდებით,

თუნდ თავისუფალ დედამიწაზე
თავისუფალი მოქალაქენი,..
ჩვენ, სულერთია, მაშინ, იმწამსვე,
აუცილებლად დავიღუპებით **)!“.

აი, მსჯელობის გზა და სათავე-
ჩემი თვალის წინ დგას წინამძღოლად!
მე მართალი ვარ მაშასადამე,
და ვიმეორებ: განვაგრძოთ ბრძოლა...

კლასიურ მტრების, თუ იერიშით
განადგურებას გმირობა ჰქვია,—
უფრო ძნელია საკუთარ ტვინში
მანკიერ გრძნობებს ესროლო ტყვია!

მარტოხელაა გლეხი კაცი და
ბედის ძებნაში ჩაკვდება სადმე,—
ძლივს შეძენილი მცირე განძი და
გლეხური აზრი მამულისადმი—

მე მივიჩნიე კლასობრივ მტრებად,—
და ჩემში ძველი გრძნობები კვდება:

უნდა ამოვჭრა მცირე ვიდრე,—
ხორცზე ნესტარი დამესო ცივად!
და ცვარი სისხლი რომ გადმომდინდეს
ვიცი ტკივილი გულამდე მივა...

წარბი გამართე,—არ შეკრთე გულდა!
ჯერ ხნეულ უჯრედს ამოჭრა უნდა.
და აგრე გულთან დაჭიდებულვარ—
მისი მანკი რომ გავატიალო!
რომ საბოლოოდ გამარჯვებულმა
მილიონებთან ერთად ვიარო!

ორივე მკლავით თქვენში ვარ მუდამ
გალომგულებულ მებრძოლის გვარად!

...და ხალხის შუა
მოუბარ გულდას
მაღლა აწეული ხელები ფარავს.

2.

ეხლა შემდეგი სიტყვა ეძლევა
რკინისგზელ მუშას (საერთო ტაში).
—ამხანაგებო! აი, დავტოვე
სამუშაო და ამოველ მთაში.

მეშანქანე ვარ და სარბიელი
თქვენი გაშლილი არემარეა.—
ვარ ქალაქელი და ვარ მთიელი
და ორთქლმავალიც მომთაბარეა...

ყანების შუა გამოჭრილებულს,
რამდენი გლეხი გამიცდენია!
მოიჩრდილებენ შუბლზე ხელისგულს,
შემომძახებენ და მიცქერიან.

შორს, სიმინდში ცხრაასხუთივით
სიმღერაა და ფრიალებს დროშა!
ხომ არ ვიქენი ისე გულცივი
არ მოვესალმოთ აი, ამ დროსა..

ამხანაგებო!... ყოველი ნერგი,
არ გამოზარდეთ შვილივით განა?
(ხმა ადგილიდან: ძმობილო შენ კი
შვილს გირჩევნია შენი მანქანა)

— ო, მეც მიქა ვარ, ძალიან კარგი
აბა გიამბო „ჩემი“ რა არი,—
ორთქლმავალს სჭედდენ: რუსი და ფრანგი
და გერმანელი და სხვა მრავალი...

ვარ მარტოოდენ ერთი მათგანი,—
მმართველი გული მძლავრი მანქანის

სადაურია?—მანძილს ერევა,—
შემოიარა არე სრულიად!
სადაც ბორბალი შეუჩერდება
იგი ჩემსავით იქაურია...

ჩემი არ იყო და შევიყვარე,
ხალხს მოვახმარე მისი კვნესა მე!
ამგვარი გრძნობით შეხედე ყანებს
მისი გაჩენის პირველ დღესავე...

მას ვამუშავებ მართლა შვილივით,—
ვერ შეგვაშინოს ველმა გაშლილმა!
იყო ომი და გაჭრეს კივილით
ბრძოლის ველები მამა და შვილმა.

მთებში იფიქრეს იქნებ დამალვა,
აგერ უსაქმოდ ხევები დგანან
დასჭერ, დარაზმე! რომ ორთქლმავალმა
ჩაურბენიოს დროზე ქარხანას!

ხევბიც უნდა ფიცრებად ხერხონ,—
რომ უქმი დგომა ვერ მოახერხონ...

მეშანქანე ვარ,
და სარბიელი
თქვენი გაშლილი არემარეა,
ვარ ქალაქელი და ვარ მთიელი,
და ორთქლმავალიც მომთაბარეა!

ჩემი არ იყო და შევიყვარე,
ხალხს მოვახმარე მისი კვნესა მე! —
ამგვარი გრძნობით შეხედე ყანებს
მისი გაჩენის პირველ დღესავე.

ჩვენ გაგვახარებს შრომა საერთო,
ცალკე ამაოდ ჯანი გვილევა!
უნდა გავიგო: რა გავაკეთო,
უნდა შევიგნო: რა მოხელე ვარ...

3.

შეიხწინეს რა, საქმე აგრეთვე
თითო-ოროლა მავნე მტერისა,—
მათ დაადგინეს: რომ პირველადვე
უნდა ალაგმონ შესაფერისად!

და ძლევამოსილ მეურნეობად
გაერთიანდენ მოსახლეობა

..კრება დაშლილა. რკინისგზელი და
მეურნეები შინ მიდიოდენ,
რკინისგზელმა თქვა: ამიერიდან
უნდა ვებრძოლოთ უჩარდიონებს

და საბოლოოდ ისევ დახძინა,—
რასაც გულდასმით ამბობდა წინად:

ნიადაგი და წყალი ნერგებმა
დაიკრძალონ გულხარბად მარტო!—
კაცს გვმართებს მეტი გონიერება
უსულდგმულოებს რომ განუმარტო:

— შენი მინდორი,
შენი მდინარე, —
შენ შეიყვარე ნერგო!
მე ვნახო ჩემი შრომის შედეგი
და ხიხარული მერგოს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ამხ. თაყაიშვილმა (26 კომუნარისსახელობის ქარხანა), რომელსაც იანვარში უნდა მიეცა ორი ჩათს საშრობი მანქანა. გეგმის გარეშე გამოუშვა აბრეშუმის სართავი მანქანა, რისთვისაც მას ჯილდოდ მიეცა ფულადი პრემია, კოსტიუმი და მოუფაქტური. სურათზე—ამხ. თაყაიშვილი აბრეშუმის სართავი მანქანის მონტაჟზე.

*) ოცდაათიანი წლების ქართული ქრონიკები. წიგნი პირველი.

**) ლენინი, ტ. XIV გვ. 156.



რიონი ახე ფერდებ ჩაცვენილი მე ჯერ არ მინახავს. მდინარის კალაპოტს პირი დაუღია და ხახა გამშრალი საცოდავათ გამოიყურება.

რიონს არ მოხწრებია ასეთი დღე. საუკუნეების მანძილზე ის თავისუფლად დანავარდობდა, ბევრჯერ უგემია მომწიფებულ ყანების სურნელება, დღეს კი რკინაბეტონის კედელს შუაზე გაუჩეხია. მისი ტანი და ჭომას ქვევით სისხლიდან დაუცლია მდინარის ძარღვები.

მაინც რა მოუვიდა რიონს, რატომ ახე გამხდარა?

მიზეზი რიონჰესია. საგუბარში ჩაუშვიათ ფარები და მდინარე შუაზე გაუჭრიათ. საგუბარს ქვევით რიონი სულს ძლივს ღაფავს, საგუბრიდან რაჭისაკენ კი მთელი ზღვა დამდგარა. აქ წყლის დონე ოთხი მეტრით აღემატება ჩვეულებრივს. მწვანეთ მობიბინე წყალი დინჯად მიემართება საგუბრისაკენ, ფარებთან მიახლოვებისას ნაბიჯს უმატებს, სწრაფად გადაირბენს რკინის საზღვარს და საშინელი ხრიალით ვარდება სადღაც უფსკრულში.

გახელებული მდინარე დაჭრილი ლომივით ღმუის, დორბლს მყრის, ლამობს გაარღვიოს ჯებირები, მაგრამ ამაოდ. საგუბრის კედლები ურყევია ხალკლდესავით.

სდგეხარ საგუბრის ხიდზე, სამსაროულოან სახლის სიმაღლიდან დაჰყურებ გაცოფებულ სტიქიის ბრძოლას და ფიქრობ: დაბრუნდა რიონი შენი უაზრო ცხოვრება, ადამიანის მკლავმა შენც მოგიგრიხა კისერი.

მართლაც, შეიძლება არსად არ ჩანდეს ისე ნათლად ადამიანის გამარჯვება ბუნებაზე, როგორც აქ: რიონი, რომელმაც არ იცოდა არავითარი დაბრკოლება, რიონი, რომელსაც ტყეები, სახლები და მთელი სოფლები მიჰქონდა რაჭიდან, რიონი, რომელიც ხშირად დამუქრებია ქუთაისის ხიდებს,—დღეს ხელფეხ შეკრულია და იძულებულია სოციალისტური მშენებლობის სასარგებლოდ მიმართოს თავისი ძალა.

რიონი რიცხვით მესამე მდინარეა საქართველოში, რომელიც შებოჭა მუშათა კლასის ენერგიამ.

დღეს ჩვენი ქვეყანა ელექტრო-გიგანტის დაბადების მოლოდინშია, ხანგრძლივი შეიქნა მშობიარობა, მაგრამ სამაგიეროდ ნაყოფი სამაგალითო იქნება. რიონჰესი თუ მცა წელა, მაგრამ მტკიცედ იყრის ტანს.

საგუბარი, რომელზედაც ჩვენ ეხლა ვდგევართ, მთლიანად მზადაა და ელოდება სიგნალს დერივაციიდან და მესამე გვირაბიდან. რამდენიმეჯერ ჩატარდა საგუბრის მოწყობილობის გამოცდა და შედეგები ყოველთვის ფრიად დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. ეხლაც საგუბარი გამოცდაში იმყოფება. ჩაშვებულია ფარები, რომლებიც გზას ულობავენ მდინარის ყინულნარევ ტალღებს. წყალი წყალსაცავში აბურთულა და ზედ გვირაბის კარებს მისდგომია. გვირაბს ფარები იცავს.

ამ გვირაბსა და საგუბარს შორის ერთი ყრუ კედელია ამოშენებული. ეს კედელი აშაგრებს გვირაბსა და საგუბარს შორის დამდგარ წყალს. კედელი მისაზღვრე მცირე ტერიტორიით კუნძულივით მოჩანს მდინარეში.

„უცნაური" ხალხია საბჭოთა ინჟინრები, ისინი ყველგან სარგებლიანობას ეძებენ, ყველაფერს სარგებლიანობის თვალით უყურებენ. რაციონალიზაცია, უტილიზაცია და ათასი სხვა სწორედ ამისათვისაა მოგონილი.

ამ კედელსაც ახე დაუწყეს ცქერა. ჩვენს მღელვარე ეპოქაში ერთი დატვირთვა აღარ კმარა. ყველა და ყველაფერი რამდენიმე მიზანს უნდა ემსახურებოდეს. რა ღირებულება აქვს ამ კედელს, რომელსაც კედლობის მეტი არაფერი შეუძლია! და ახალგაზრდა ლენინგრადელმა ინჟინერმა ერისთავმა სცადა კედლისათვის კიდევ სხვა დავალების მიცემა.

კედელს იკრავს უზარმაზარი წყალსაცავი წყლის დიდი მარაგით. კედელი რომ გაიხვრიტოს ზემო ნაწილში, წარმოიშობა წყლის ვარდნა, რომელსაც შეუძლია მოგვცეს 400 ცხენის ძალა, ამისათვის საჭირო არ იქნება არავითარი დამატებითი ნაგებობანი, გარდა ერთი პატარა ტურბინისა. ეს ჰიდრო-სადგური მიკრუხნული იქნება რიონჰესის საგუბრის უზარმაზარ კედელთან, როგორც ჩიტის ბუდე წვეროწვეტა ალვის ხეზე, და მოგვცემს 400 ცხენის ძალის ზედმეტ ენერგიას, რომელიც შეიძლება მოხმარდეს რიონჰ-სის საგუბრის მექანიზმებს, -სადგურის მოწყობილობას და ახლომახლო სოფლებს. ზოგიერთი რაციონალიზატორული ღონისძიებებით ინჟ. ერისთავს ამ სადგურის სიმძლავრე აჰყავს 600 ცხენის ძალამდე.

ინჟ. ერისთავის წინადადება განიხილა რიონჰესის რაციონალიზაციის ბიურომ, მოიწონა და ავტორი დაასაჩუქრა.

&

„რიონჰესი"...

რიონჰესი ეხლა ყველაზე პოპულარული სიტყვაა. ქუთაისში ყველა რიონჰესზე ლაპარაკობს, მაგრამ არა მარტო ქუთაისში. რიონჰესს, ხშირად იგონებენ თბილისშიც, ბაქოშიც, ზესტაფონშიც. თბილისში რომ სალამოობით სინათლე ქრება, ეს რიონჰესის დაგვიანების ბრალია. სურამის ულელტეხილზე რომ ელექტრომავლებს საშუალება არ აქვთ სისტემატიურად იმუშაონ—ესეც რიონჰესის დაგვიანების ბრალია, ამავე მიზეზით გვიანდება ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხნის ამუშავება.

მაგრამ დიდხანს აღარ გაგრძელდება ეს მდგომარეობა, სადგურის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. რამდენიმე თვე კიდევ და ჭომიდან სალორიის ტუეში გადაგდებული რიონი, წყალწითელას პლატოდან [illegible] თავქვე [illegible]ნაბული, დაეჯახება ტურბინებს და მილიონ კილოვატ-საათებით დაიღვრება სპილენძის მავთულებზე.

რიონჰესის მშენებლობით საფუძველი ეყრება მდ. რიონის და მისი შენაკადების გეგმიან გამოყენებას, რომელთა საერთო სიმძლავრე მილიონ ცხენის ძალას აღემატება. რიონჰესის სქემა ასეთია:

ქუთაისის ჯაჭვის ხიდიდან 1,7 კლმ. დაშორებით მდ. რიონზე აგებულია წყალამწევი საგუბარი, რომელიც ქმნის წყლის ვარდნას 10,87 მეტრიდან, საგუბარს ფსკერზე აქვს ოთხი ნახვრეტი, თვითეული 10,9 მეტრის სიგანით, მარჯვენივ საგუბარს ეკვრის მეთნის სისტემის ნოტიონის წყალსაშვები, ზედმეტი წყლის გასაშვებად წყალდიდობის დროს. სიფონის გვერდით, მდინარის მარჯვენა ნაპირთან მოწყობილია ტივსაშვები, რიონის სათავეებიდან მომავალი ტივების გასაშვებად.

სა[illegible]ჩარის საშუალებით წყალი გადადის სადერივაციო არხში, რომლის საერთო სიგრძე უდრის 9,2 კილომეტრს. დერივაცია იწყება 1502 მეტრის სიგრძის გვირაბით, რომელსაც პირველი პროექტით მისდევდა ღია არხი 1584 მეტრზე, ეს უკანასკნელი კი შემდეგ გადადიოდა მეორე გვირაბში სიგრძით 1072 მეტრი.

შემდეგ მიდის არხი სალორიის პლატოზე სიგრძით 6,1 კილომეტრი და წყლის სადღეღამისო ბასეინი. დერივაცია თავდება საწნეო აუზით, საიდანაც მიდის ოთხი საწნეო მილი—გიგანტი, თვითეული 2,60 მეტრის დიამეტრით და 214 მეტრის სიგრძით, ამ მილებს წყალი მიჰყავთ ტურბინებთან. სადგურში სულ დადგმული იქნება ოთხი ტურბინა, თვითეული 17,200 ცხენის ძალის სიმძლავრით. ტურბინებთან დაკავშირებულია გენერატორები, რომლებიც შეერთებული არიან ჰინგის გამადიდებელ ტრანსფორმატორებთან.

რიონჰესის სრული სიმძლავრე 69 ათასი ცხენის ძალა, ენერგიის გამომუშავებაა 240 მილიონი კილოვატ-საათი წელიწადში. რიონის ჰიდრო-ელსადგურის შენობა მოთავსებულია რიონის რკინის გზის სადგურიდან ერთი კილომეტრის მანძილზე თბილისის მიმართულებით. გადამუშავებული წყალი სადგურიდან 2154 მეტრის სიგრძის არხით მიდის მდ. წყალ-წითელაში.

ამჟამად მდგომარეობა მშენებლობაზე ასეთია: საგუბარი მზად არის მთლიანად. სავსებით დამთავრებულია აგრეთვე პირველი და მეორე გვირაბი. ვინაიდან ღია არხი ამ გვირაბებს შორის ფხვიერი ნიადაგის გამო ჩამოინგრა, საჭირო შეიქნა მის მაგიერად მესამე გვირაბის გათხრა. ეს გვირაბი უკვე გათხრილია, ეხლა სწარმოებს მისი გაფართოება და დაბეტონება.

დარჩენილია ნაწილი სამუშაოებისა სადერივაციო არხზე. მილები საწნეო აუზში დალაგებული და დამონტაჟებულია. საგენერატორო სადგურში მზად არის ერთი ტურბინა, მიმდინარეობს მეორის მონტაჟი, თითქმის მზადაა ღია ქვესადგურიც. ანძები რიონჰესიდან ხაშურამდე დადგმულია ყველგან. სწარმოებს მავთულის გაბმა და რიონჰესის ზაჰესთან დაკავშირება.

ასეთია ჰიდრო-ცენტრალის სურათი.

მშენებლობის მასშტაბების დასახასიათებლად საკმაოა ავღნიშნოთ, რომ მშენებლობაზე სხვადასხვა დროს მუშაობდა 5.500-დე მუშა, ყოველდღიურად მოდიოდა 100—120 ვაგონი საშენებლო მასალა და მოწყობილობა.

საამშენებლო ციებცხელება თანდათან ნელდება, დამთავრებულ ობიექტებიდან მუშები გადაჰყავთ დარჩენილ სამუშაოებზე და ყოველმხრივ აჩქარებენ ტემპებს, ასეთ პირობებშიაც საჭიროა რამდენიმე თვე, რომ ჰიდრო-სადგურმა საბოლოოდ შეიმოსხნას ხარაჩოები, ის დღეც ახლოსაა, მეორე ხუთწლედის პირველი წლის სოციალისტური მშენებლობის აქტივში ჩაეწერის კიდევ ერთი გიგანტი—ჰიდრო-ელექტრო-სადგურის მდ. რიონზე.

ᲨᲐᲚᲕᲐ ᲑᲣᲐᲩᲘᲫᲔ.

ქუთაისი, იანვარი.

# საბჭოთა კავშირის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის—10 წლისთავი

შესრულდა საბჭოთა კავშირის სამოქალაქო ავიაციის 10 წლის თავი.

სამოქალაქო ავიაცია, რომელმაც თავისი მუშაობა 1923 წ. დაიწყო ექსპერიმენტალური გაფრენებით მოკლე მანძილზე და ისიც მხოლოდ და მხოლოდ ხელსაყრელ ამინდში, პირველი ხუთწლედის დამლევისათვის გახდა სახალხო მეურნეობის მძლავრი ფაქტორი.

საბჭოთა კავშირის სამოქალაქო ავიაციას გავლილი 10 წლის განმავლობაში აქვს უდიდესი მიღწევები. ჩვენი საჰაერო ხაზების საერთო სიგრძე უდრის 30.200 კილომეტრს, ე. ი. 25-ჯერ გაიზარდა მისი განვითარების დასაწყის პერიოდთან შედარებით. გადაყვანილ მგზავრების რიცხვმა მიაღწია 28.000-ს, ე. ი. 10-ჯერ მეტად გაიზარდა პირველი რეგულიარული რეისების წლებთან შედარებით, ფოსტისა და ბარგის გადატანა გაიზარდა 35-ჯერ მეტად (895 ტონა). ყოველივე ამასთან შეფარდებით გავლილი კილომეტრების რაოდენობა გაიზარდა 40-ჯერ მეტად.

კაპიტალისტურ მსოფლიოსგან ტექნიკურ-ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზით საბჭ. კავშირის მშრომელებმა შექმნეს ქვეყნის აეროფიკაციის ბაზა—საკუთარი მძლავრი საავიაციო მრეწველობა, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის გაზრდილი მოთხოვნილება და გადასჭრას მაღალი ტექნიკის საკითხები.

ამ დარგში მიღწეულმა უდიდესმა შედეგებმა თავისი გამოხატულება ჰპოვა დიდი ტვირთზიდვის უნარის მქონე აეროპლანების აგებაში საკუთარი მოტორებით და უმაღლესი აღჭურვილობით.

აეროპლანი კ—5, საექსპლოატაციო სამგზავრო აეროპლანის სტანდარტული ტიპი, თავისი ხარისხით არ ჩამოუვარდება საუკეთესო უცხოურ მანქანებს.

აეროპლანმა АНТ-9 რომელსაც მთელი რიგი გადაფრენები აქვს საბჭოთა კავშირში და დასავლეთ ევროპის მთავარ ქალაქებში. 5ა საათის განმავლობაში 10 მგზავრით გაიარა 2000 კილომეტრზე მეტი.

აეროპლანმა—„საბჭოთა ქვეყანა" —მანძილი მოსკოვიდან ნიუ-იორკამდე 20.000 კილომეტრამდე — გაიარა შემოდგომაზე, უაღრესად არახელსაყრელ პირობებში.



ამხ. ნათაძის ახალგაზრდა მფრინავთა რგოლი საუკეთესოდ ითვლება მთელს № საავიაციო გარნიზონში, ახალგაზრდა მფრინავები მთლიანად დაეუფლენ ფრენის ტექნიკას, არა აქვთ არც ერთი ავარია. სურათზე: რგოლის მეთაური ამხ. ნათაძე, მფრინავები: ამხ. ბორისოვი ბალინინი და იზოსიმოვი სასწავლო გაფრენის წინ.

აეროპლანი АНТ-14 არის მსოფლიოში უდიდესი სახმელეთო სამგზავრო აეროპლანი, რომელმაც უკან მოიტოვა ყველა ქვეყნების აეროპლანები, მათ შორის (ზოგიერთი ელემენტების მხრივ) გერმანის იუნკერსი „Т—38". АНТ-14 ჩამორჩება მხოლოდ გერმანულ დორნიეს—„До-Х" (მსოფლიოში უდიდესი ჰიდროპლანი) და იტალიურ კაპრონის—„К-90" (მსოფლიოში უდიდესი სახმელეთო სამხედრო აეროპლანი), რომლებიც ჯერ-ჯერობით ექსპერიმენტს წარმოადგენენ.

სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია არ შეეძლო არ გამოეწვია აეროპლანის ფართოდ გამოყენება სახალხო მეურნეობაში, არა მარტო როგორც სატრანსპორტო საშუალებისა.

სასოფლო-სამეურნეო ავიაციამ რომელიც საჰაერო ტრანსპორტზე ორი წლით უფრო გვიან ჩაისახა, სწრაფად გაიარა თავისი განვითარების ექსპერიმენტალური სტადია და ჩადგა საბჭოთა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების მძლავრი ფაქტორების რიგში.

საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ავიაცია წლიდან წლამდე სისტემატიურად ადიდებენ თავისი მუშაობის მოცულობას და აღწევენ სახალხო მეურნეობაში ავიაციის გამოყენების სხვა საკითხების გადაწყვეტას.

ეს გამოყენება უაღრესად მრავალფეროვანია: ბრძოლა მალარიასთან, ტყეების მეთვალყურეობა და თესვა, წყლით სარგებლობის მეთვალყურეობა, გეოლოგიური კვლევა-ძიება, აეროპლანის გამოყენება მეთევზეობაში და თევზის მოშენებაში, ყინულების დაზვერვა, ნადირობა და მრავალი სხვა, რაც შეიძლება მოიგონოს ადამიანის გონებამ და რაც ფანტასტიკის საზღვარზე იმყოფება (ღრუბლების გაფანტვა, ხელოვნური წვიმა, უდაბნოების გამწვანება).

თავის მთავარ ნაწილში კი სასოფლო-სამეურნეო ავიაციის მუშაობა გამოიხატება სოფლის მეურნეობის, ტყის, ბაღებისა და ბოსტნების მავნებლებთან ბრძოლაში.

ამ მხრივ საბჭოთა კავშირმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია.

მოედნების დამუშავებამ, რომელიც 1925 წ. შეადგენდა 2.2 ათას ჰექტარს, 1932 წელს მიაღწია 1072,0 ათას ჰექტარამდე.

კოლექტივიზაციის გაშლა, გიგანტ-საბჭოთა მეურნეობის შექმნა, ყველაფერი ეს მძლავრ იმპულსს აძლევდა სასოფლო-სამეურნეო ავიაციის განვითარებას და განსაზღვრავდა მუშაობის მნიშვნელოვან მოცულობას (მუშაობის მოცულობით საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო ავია-



ამხ. დავითაშვილი—საავიაციო მოტორების და კარბიურატორების შესწავლის საქმის ხელმძღვანელი № ავია-გარნიზონში მეცადინეობის დროს.

ციამ უკვე 1931 წელს სამჯერ მეტად გადაჭარბა შეერთებულ შტატებს).

საჰაერო ფოტოგრაფიის განვითარება წლიდან წლამდე მიდიოდა გიგანტური ნაბიჯებით, ახლა უკვე ჰაერიდან გადაღებული სურათების მიხედვით შეიძლება მსჯელობა მანძილზე გადარებულ პუნქტებს შორის, მთების სიმაღლეზე, მდინარეების სიმაღლეზე და სხვადასხვა გამოანგარიშებათა მოხდენა.

ჰაერიდან გადაღებული ფართობი 1925 წ. შეადგენდა 9011 კვ. კილომეტრს, 1932 წ. კი—გაიზარდა 108,8 ათას კვადრ. კილომეტრამდე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საექსპედიციო ავიაცია, რომლის ცალკე საგმირო საქმეები— ჩუხნოვსკის და ბაბუშკინის გაფრენა ნობილეს ექსპედიციის გადასარჩენად, სლეპნიოვის რეიდი ციმბირის ტაიგაში დაღუპულ ამერიკელი მფრინავების— ეიელსონის და ბორგლანდის გვამების აღმოსაჩენად, ექსპედიცია ციმბირის ტაიგაში პროფ. კულიკის მოსაძებნათ. არქტიკულ ექსპედიციების მომსახურება და მთელი რიგი სამეცნიერო-საგამოკვლევო ხასიათის გაფრენები არქტიკაში — დიდი ხანია წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის მშრომელთა სიამაყის საგანს.

მნიშვნელოვან მიღწევებს საბჭოთა სამოქალაქო ავიაციის განვითარებაში წარმოადგენს აგრეთვე გადაფრენა ტაშკენტი—ქაბული, რომელიც წარმოადგენდა არაჩვეულებრივ სიძნელეს, დაკავშირებულს გადაფრენასთან მსოფლიოში ერთ-ერთი უმაღლეს მთაგრეხილზე, ჰინდუკუშზე, რომლის სიმაღლე 5.300 მეტრს აღემატება და შუა აზიის უდაბნო ადგილებზე, უაღრესად არახელსაყრელ და მრავალფეროვან ატმოსფერულ პირობებში (ტემპერატურა ხან ეცემოდა 14 გრადუსამდე ნოლს ქვევით, ხან იწევდა ტროპიკული სიცხის ტემპერატურამდე —45 გრად.).

საბჭოთა კავშირის სამოქალაქო ავიაციამ გაიარა გრძელი და სახელოვანი გზა: ექსპერიმენტალური გადაფრენებიდან უდიდეს საჰაერო მაგისტრალების მოსკოვი-ვლადივოსტოკი, მოსკოვი-თბილისი შექმნამდე, 1200 კილომეტრამდე საერთო სიგრძით, ლოზუნგიდან—„მშრომელო ხალხო, შექმენი საჰაერო ფლოტი"— რეალურ და ნაწილობრივ უკვე განხორციელებულ ამოცანამდე—„ფრენა ზამთრობით, როგორც ზაფხულში, ფრენა ღამით, როგორც დღისით", სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის ვიწრო და შემთხვევითი ამოცანებიდან — აეროპლანის ფართო და მასიურ გამოყენებამდე სახალხო მეურნეობაში.

მაგრამ წინ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს ამ ზრდის საორგანიზაციო, სამეურნეო და ტექნიკური განმტკიცების მხრივ, რენტაბელობის მისაღწევად მისი სამეურნეო ფუნქციების შესრულებაში და შემდგომში განვითარებისათვის.

მეორე ხუთწლედის მიერ დასმული უდიდესი ამოცანები მოითხოვენ ძალების კიდევ მეტად დაძაბვას მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს, მისი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, ცალკე რაიონებთან კავშირის განსამტკიცებლად.

ჩვენ უნდა განვამტკიცოთ საბჭოთა კავშირის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ძლევამოსილება, ჩვენ ავიაციით უნდა მოვემსახუროთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგებს, სადაც კი ეს შესაძლებელია, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობა.

საკ. კპ. (ბ) ცეკას და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. **სტალინის** მეთაურობით, საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების დახმარებით სამოქალაქო ავიაცია შეასრულებს მის წინაშე დასმულ ამოცანებს.

**ი. ბუთანიშვილი**

# კულტურული მგზავრობისათვის

ჩვენი ქვეყანა უდიდესი ეკონომიური და კულტურული ზრდის გზით მიდის. საწარმოო ძალთა გიგანტური ზრდასთან პარალელურად იზრდება საბჭოთა მშრომელი მასების კულტურული მოთხოვნილებები. ამ მოთხოვნილებებს იგი უყენებს რკ. გზის ტრანსპორტსაც, რომელიც მოწოდებულია გაატაროს თავის მაგისტრალებზე მასების დიდი ნაკადები და უზრუნველყოს თავის ფოლადის გზებზე მგზავრთა გადაზიდვის მაღალი ხარისხი.

მშრომელ მასებს უკვე აღარ აქვს ყოფილებს მგზავრობის ის ღრომუქმული პირობები, რომელიც ძველად, აბზოთა ხელისუფლების პირველ წლებში არსებობდა და ნაწილობრივ ეხლაც არსებობს. იგი ტრანსპორტისაგან მოითხოვს მგზავრობის კულტურულ ორგანიზაციას, არ კმაყოფილდება მარტო იმით, რომ რკინის გზამ უზრუნველჰყოს მარტო მისი გადაყვანა ერთი განსაზღვრული პუნქტიდამ მეორეზე. არამედ მოითხოვს, რომ მგზავრობის პროცესში მან მიიღოს ჯანსაღი კულტურული დასვენება.

მაგარამ სამწუხაროდ ეს პირობები ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი ჩვენს რკინის გზებზე. მგზავრთა გადაყვანის საქმე ჯერ კიდევ ვერ არის ისეთი, როგორც ამას თანამედროვე ცხოვრებაში მოითხოვს. ამ საპასუხისმგებლო უბანზე ჩვენს ტრანსპორტს კრმა გარღვევები და დიდი ჩამორჩენილობა ახასიათებს, რომელთა დაძლევის და გამოსწორებისათვის მას სერიოზული და ბეჯითი მუშაობის ჩატარება დასჭირდება.

პრაქტიკული ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია. გვაქვს კულტურული მგზავრობის დანერგვის სერიოზული ცდები მაგრამ ეს მაინც მხოლოდ პირველი ცდებია.

მომავალში ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი ამ მხრივ.

კონკრეტულად კულტურული მგზავრობის დანერგვის მხრივ პრაქტიკული ნაბიჯები ჩვენს რკინის გზების საერთო ქსელში ჯერ-ჯერობით გადადგმული აქვს მხოლოდ მოსკოვ-კურსკის რკინის გზას, რომელმაც პირველი ხუთწლედის დამამთავრებელ—1932 წელში გამოუშვა ორი საუცხოოდ მოწყობილი, ნამდვილად კულტურული სახალხო მატარებელი, მოსკოვ-გორკის და კავკასიის (მოსკოვი-თბილისი), ექსპრესების სახით.

ეს მატარებელი (კავკასიის ექსპრესი) ჩვენ თბილისში პირველად გასული წლის 24 ნოემბერს გვესტუმრა და მას შემდეგ იგი აკეთებს რეგულიარულ რეისებს ორ დედა-ქალაქს შორის, კვირაში ორჯერ.

იგი თავის სტრუქტურით, მოწყობილობით და მომსახურეობით მართლაც რომ საუცხოო კულტურული დასვენების ადგილს წარმოადგენს. მატარებელი 5 ვაგონისაგან შესდგება და ყველა ისინი ისეა მოწყობილი, რომ მგზავრი იქ აბსოლუტურ დასვენებას გრძნობს. მის განკარგულებაშია კულტურული გართობის ყველა საშუალებები: ჟურნალ-გაზე-



კულტურისა და და სვენების ვაგონი

# ბრძოლა მოსავლიანობისათვის

ტრაქტორებით, გუთნებით, სათესი მანქანებით, კულტივატორებით — სავსეა მთელი მოედანი ულრესად სასარგებლოულოზ ლი მოედანი ამ ულრესად სასარგებლო დაწესებულებისა, რომელიც იბრძვის მოსავლიანობის გადიდებისათვის, მანქანების, სასოფლო-სამ. იარაღების, ნიადაგის რაც შეიძლება რაციონალურად გამოყენებისათვის.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტი გაიზარდა საქართველოს მიწსახკომის სამანქანო-საცდელი სადგურიდან. ჯერ კიდევ 1925 წელს გამოჭეეყნდა მთავრობის დადგენილება ტრაქტორების გეგმიანი გამოყენების შესახებ, იმ ქაოსთან ბრძოლის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენში სხვადასხვა სისტემის ტრაქტორების, გუთნების და სხვ. გამოყენების საქმეში. საჭირო იყო ზუსტად გამორკვეული იყო საქართველოს, ამიერ-კავკასიის ნიადაგის პირობებთან ყველაზე უფრო შეგუებული ტრაქტორების ტიპი.

იმ წლებში ყველაფერს საზღვარგარეთიდან მიღებულს ხედებოდნენ აღფრთოვანებით, ყოველგვარი წინასწარი შემოწმებისა და გამოცდის გარეშე. და აი, როცა მოეწყო სადგური „სასიკვდილო განაჩენი“ მიილო ცნობილმა ამერიკულმა „ფორძონ“-მა, რომელიც აბსოლიუტურად გამოუსადეგარი აღმოჩნდა ჩვენი ნიადაგის პირობებში, დაწუნებულ იქნა ცნობილი, „ლანც“-ის სალეწი მანქანა და მთელი რიგი—მანამდე „დამსახურებული“ სისტემის იარაღ-მანქანები.

მექანიზაციის ინსტიტუტმა თავისი არსებობის მოკლე დროის განმავლობაში დიდი პრაქტიკული მუშაობა ჩაატარა, პროფ. ამიროჯიბის ხელმძღვანელობით, ვის სახელსაც ატარებს ინსტიტუტი, გამორკვეულ იქნა ღრმად ხვნის რაციონალობა. ინსტიტუტი თავის ლაბორატორიაში გაატ... მთელი გუთნები და მათში შეიტანა ... კორექტივები ცალკე სასოფლო-სამეურნეო რაიონებისათვის, კატეგორიულად დაუჭირა მხარი დისკოსებურ გუთნების გამოყენებას.

მექანიზაციის ინსტიტუტის კედლებში იშვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ახალი გაბედული კონსტრუქციები, მასში გაუმჯობესებულ იქნა ძველი სისტემის გუთნები, სათესი მანქანები, დამზადდა ისეთი მანქანები, როგორიც არის ელექტრო-გუთანი, სათესი მანქანა ხილისა და ჩაის თესლებისათვის, ბუჩქის საჭრელი მანქანა ბუჩქნარებიან ფართობების გასაწმენდათ და მრავალი სხვ.

ინსტიტუტის სახელოსნოსა და ლაბორატორიაში სწარმოებს მანქანა-იარაღების გამძლეობის და დროვადობის გამოცდა. მანქანა-იარაღებს ემატება ახალი დეტალები, აკლდება ზოგიერთები. მექანიზაციის ინსტიტუტის ხმას ფხიზლად უგდებენ ყურს ჩვენი სას. სამ. მანქანა-იარაღების ქარხნები, რომლებიც ინსტიტუტის მუშაკების მითითებით ცვლიან კონსტრუქციებს. აწყობენ გაუმჯობესებულ სისტემათა გამოშვებას. ინსტიტუტის მიერ დამზადებული ორსართულიანი გუთანი ღრმად ხვნისათვის, რომელიც განსაკუთრებით გამოსადეგია ჩაის პლანტაციებზე და რომელიც აბრუნებს მიწის ზედაფენას და აფხვიერებს ქვედას, მიღებულია და უკვე მზადდება ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის ქარხანაში.

ამჟამად მექანიზაციის ინსტიტუტი თავის ლაბორატორიებში ატარებს საქ.-სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრო-საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტთა წვევას და გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში განაწილებული იქნება 100 კვალიფიციური სპეციალისტი.

ბრძოლა მოსავლიანობისათვის — ინსტიტუტის მთავარი ამოცანაა. ყველა მისი ღონისძიებები აქეთკენ არის მიმართული. 1933 წლის გაზაფხული მისთვის იქნება მთ რიგი გამოცდა, რომელიც ჯამს ზამთარში ჩატარებულ კონსტრუქტორულ და მეცნიერულ მუშაობას.

**ედ. შმ—ბი**



ღრმად მხვნელი გუთნის „K—56“-ის რეკონსტრუქცია ჩაის პლანტაციებისათვის. საქ. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტში

---

თები, რადიო, კინო, ...ბი, კონცერტები, მოხსენებები პოლიტიკურ თემებზე და სხვა. მგზავრს თავი რ შესწყინდება, მგზავრი არ იგრძნობს დაღლილობას უსაქმობის ნიადაგზე. სრული რეისის დროს (3—4 დღე) იგი ყოველდღიურ მნიშვნელოვან მოვლენათა საქმის კურსში იქნება; ამის საშუალებას მას აძლ... დიო, რომელიც იჭერს გადაცემებს სვლიგეზის მახლობელ რადიოგადაცემა სადგურებიდან და ახალ-ახალი ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც მოაქვთ მატარებელში ყოველ მსხვილ საკვანძო სადგურებზე.

ყოველი ვაგონი, რბილი, თუ მაგარი, ეს სავსებით დამთავრებულ კომფორტაბელურ დარბაზს წარმოადგენს. ვაგონები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან ტელეფონებით, ხოლო თვითეული ცალკე ვაგონ-რესტორანთან, რომლის საშუალებით ეცნობათ მგზავრებს სადილების მენიუ. მატარებელი უზრუნველყოფილია აბანოებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კულტური სადა დასვენების ვაგონი, რომელიც მატარებლის შემადგენლობის ორგანიულ ნაწილს წარმოადგენს და რომელსაც თავის მოწყობილობით შეეხამებოდა ყოველი კულტურული დასვენებისათვის მოწოდებული ჩვენი დაწესებულება. ამ ვაგონშია მოთავსებული ბიბლიოთეკა-სამკითხველო, საიდანაც მგზავრს შეუძლია წიგნები წამოიღოს თავის კუპეში, კინო, სათამაშოები და იმართება კონცერტები.

ექსპრესების გამოშვებით ჩვენმა ტრანსპორტმა დაამტკიცა, რომ მას შესწევს ძალ-ღონე და მოეპოება საშუალებები იმისათვის, რომ უზრუნველჰყოს რკინის გზებზე ნამდვილი კულტურული მგზავრობა.



საქ. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამშრომელი ამხ. ხოშტარია თვალყურს ადევნებს მოტო-კულტივატორის შეკრებას.




18 თებერვალს, დღის 3 საათზე დაიწყო საქართველოს პირველი შაქრის ქარხნის ექსპლოატაცია.

საბჭოთა საქართველოს შეემატა კიდევ ერთი ახალი გიგანტი.

სულ ორმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც აგარის ყრუ და ტრიალ მინდორზე საფუძველი ჩაეყარა ამ გიგანტს. იმ ადგილას, სადაც ამ ორი წლის წინ ვერაფერს ვერ დაინახავდით, ახლა აღმოცენებულია ხავსებით დამთავრებული ქალაქი. იმ ნაგებობათა შორის, რომლებიც აქ არის გამართული, თავის გრანდიოზულობით ყურადღებას სწორედ ქარხანა - გიგანტი იქცევს.

ქარხნის მშენებელ დამკვრელ მუშათა კოლექტივს და ინჟინერ - ტექნიკურ პერსონალს, პარტიის მტკიცე ბოლშევიკური ხელმძღვანელობით უდიდესი ენთუზიაზმით მუშაობა ჩაუტარებია.

შედიხართ ქარხანაში და გაოცებული რჩებით; სართულებად დადგმულ აგრეგატების სიმრავლე გიპყრობთ. თვალს გიჭრელებთ ათასნაირად დახლართული მილები, რომელთა თავსა და ბოლოს ვერ მონახავთ. აპარატები და აგრეგატები ერთის შეხედვით თითქოს ერთმანეთისაგან განკერძოებულად დგანან, მაგრამ ურთიერთ შორის მჭიდრო ორგანიულ კავშირში იმყოფებიან.

ყველაფერი მექანიზირებულია. ქარხანა წარმოადგენს (წარმოების ერთ მთლიან კონვეიერულ სისტემას. ქარხანაში ჰიდრავლიური ტრანსპორტებით შემოსულ ჭარხალს კაცის ხელი არ ეკარება. იგი მექანიკურად გადადის ერთი აგრეგატიდან და აპარატიდან მეორეში, განიცდის რთულ ქიმიურ და მექანიკურ პროცესებს და ჭარხლის ქარხანაში შემოსვლის მომენტიდან 17—20 საათის გავლის შემდეგ ღებულობთ სუფთა ფხვნილ შაქარს. შაქრის მიღებამდე ნედლმა მასალამ 22 ქიმიურ - მექანიკური



აგარის შაქრის ქარხნის მშენებლობის უფროსი დაწინაურებული მუშა—ამხ. **შალმანოვი.**

პროცესი უნდა გაიაროს 30 - დე აპარატში უნდა გაიაროს.

ჭარხლის დამუშავების შედეგად ვიღებთ ნარჩენებს ბადაგისა და წვენ გამოცლილ ჩენჩოს სახით, რომელთაგან პირველი მიდის საკონდიტრო წარმოებაში ხოლო მეორე წარმოადგენს პირუტყვის საუკეთესო საკვებ მასალას.

ქარხნის დღიური საპროექტო პროდუქცია ნავარაუდევია 150 ტონა წმინდა შაქრის რაოდენობით. ქარხანამ უნდა გადაამუშაოს დღეში 100 ტონა ჭარხალი. ნავარაუდევია, რომ ჩვენი ჭარხალი შეიცავს 15% შაქარს. მაგრამ ეს ციფრი საშუალოა. ფაქტიურად ჩვენი ჭარხალი, ანალიზის თანახმად, შეიცავს 18 და მეტ პროცენტ შაქარს. ამ შემთხვევაში ცხადია ქარხნის პროდუქციაც მეტი იქნება.

გასულ წელს ჭარხლის მოსავალი ჩვენში ნაკლები იყო. ეს აიხსნება ამ კულტურის სიახლით. სულ მოვიწიეთ მხოლოდ 68.000 მეტრიული ცენტნერი ჭარხალი. ამ მოსავლიდან ახლად ამუშავებულმა ქარხანამ უნდა მოგვცეს 1054 ტონა შაქარი.

ქარხანა წელიწადში იმუშავებს 120 დღეს.

წრეულს ჭარხლის მოსავლის პერსპექტივები უფრო საიმედოა, არსებობს სათანადო გამოცდილება, რაც ხელს შეუწყობს წარსულში დაშვებულ შეცდომების თავიდან აცილებას და რაც მთავარია წელს, ამ კულტურით გლეხობა უფრო დაინტერესებულია.

1933 წელს ჭარხლის მოსავალი ნავარაუდევია 350,000 მეტრიული ცენტნერის რაოდენობით.

შაქრის ახალი გიგანტი საქართველოს მშრომელთა ახალ უდიდეს მიღწევას წარმოადგენს.

საქართველოს მშრომლები, ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 12 წლის თავზე იდღესასწაულებენ ქარხნის საზეიმო გახსნას.

**საქართველოს პირველ შაქრის ქარხანას, მის მშენებელ მუშათა კოლექტივის და ინჟინერ - ტექნიკური პერსონალის თხოვნით, საქ. ცაკმა მიაკუთვნა გამობრძმედილი ბოლშევიკის - საქ. კ. პ. (ბ) ა-კ სამხარეო კომიტეტის და საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მდივნის ამხ. ლავრენტი ბერიას სახელი.**

ა. ქ—ძე

აგარა, 20 თებერვალი.



ქარხნის დამკვრელი მუშა ამხ. ბაკურაძე.



ქარხნის საუკეთესო დამკვრელი ამხ ლანდეიშვილი.

# ჰოლანდიის „პოტიომკინი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთი დღის განმავლობაში მთელი მსოფლიო შეუსუსტებელი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ჰოლანდიის კრეისერის „დი ცევენ პროვინსიენ“-ის გმირულ ბრძოლას.

მკაცრი ცენზურის შედეგად, რომელიც ჰოლანდიის ხელისუფლებამ დააწესა ყველა ცნობებზე, რომლებიც ჰოლანდიის ინდოეთში შექმნილ გართულებულ მდგომარეობას შეეხება, ჯერ კიდევ შეუძლებელია მთლიანი, ნათელი სურათის შექმნა იმ სახელოვან ბრძოლაზე, რომელიც ჰოლანდიის ბურჟუაზიას გაუმართეს თებერვლის პირველ ნახევარში ჰოლანდიის ინდოეთის დამონებულმა მასებმა.

უსასტიკესი კრიზისი, რომელიც მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოს არყევს, და რომელიც არც ჰოლანდიას ასცდა, აიძულებს ჰოლანდიის ბურჟუაზიას კრიზისის მთელი სიმძიმე გადაიტანოს მშრომელი მასების, უმთავრესად — კოლონიალური მასების მხრებზე. კოლონიების ისედაც გაძვალტყავებული მშრომელი მასები სულს ღაფავენ, დრტვინავენ იმ მძიმე ტვირთის ქვეშ, რომელიც დააკისრა მას ჰოლანდიის ბურჟუაზიამ.

პატარა ჰოლანდია, რომელსაც უჭირავს სულ 34,201 კვ. კილომეტრი ტერიტორია 8 მილიონამდე მცხოვრებით, ფლობს 2.016.907 კვ. კილომეტრ ტერიტორიას 50.000,000-დე მცხოვრებით. ჰოლანდიის ეს კოლონიალური სამფლობელო შესდგება ნაწილობრივ ამერიკაში (სურინამში, კიურასო), ნაწილობრივ კი აზიაში (ინდონეზია: კუნძულები — იავა, მადურა, სუმატრა, ბორნეო, ცელებესი, ახალი გვინეა), მდებარე ტერიტორიიდან.

ჰოლანდიის კაპიტალისტები სასტიკად ყვლეფავენ ამ უმდიდრესი კუთხის მოსახლეობას. ჰოლანდიის ინდოეთის მშრომელი მასები, რომლებიც ცხოვრობენ ტერიტორიაზე არაჩვეულებრივად ნოყიერი ნიადაგით, უმდიდრესი წიაღით (ნავთი, ნახშირი, კალა), შიმშილობენ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, რადგან საუკეთესო მიწები ეკუთვნის ჰოლანდიელ მემამულეებს, ჩაის, შაქრის, ყავის, თამბაქოს, კაუჩუკის პლანტაციები შეადგენს ჰოლანდიელ კოლონიზატორების საკუთრებას, რადგან მიწის წიაღის სიმდიდრეებს იტაცებენ ჰოლანდიელი და სხვა კაპიტალისტები. ჰოლანდიის კაპიტალისტების ერთგული მსახურები — ჰოლანდიელი სოციალ-ფაშისტებიც კი იძულებული არიან ერთ-ერთი თავისი თვალსაჩინო წარმომადგენლის — ჰოლანდიის კოლონიების მოხელის მიულფელდის პირით აღიარონ ინდონეზიის მასების უსაშინელესი გაჭირვება და სიღატაკე: ინდონეზიელი გლეხი იძულებულია „2 ნახ. ცენტით იცხოვროს დღეში!“. ორნახევარი ცენტი — ეს ორი კაპიკიც კი არ არის! (ჰოლანდიის ჰულდენი = 100 ცენტს=77,9 კაპ.).

მსოფლიო ეკონომიურ კრიზისთან დაკავშირებით, კოლონიალური ბურჟუაზიის დახმარებით და სოციალ - ფაშისტების ლოცვა - კურთხევით ჰოლანდიის ბურჟუაზიამ კიდევ უფრო გააძლიერა კოლონიალური მშრომელი მასების ყვლეფა. კრიზისმა აიძულა იგი მიემართა ხელფასის დაკლებისათვის არა მარტო სამოქალაქო დაწესებულებებში, არა მარტო მოსამსახურეებისათვის, არამედ თავისი კოლონიალური ბატონობის მთავარ დასაყრდენ ძალისათვის — არმიასა და ფლოტში იმ იმედით, რომ რასიული სიძულვილი თეთრ და ფერად კანიან ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს შორის დაარღვევს სოციალურ უკმაყოფილებას. მაგრამ კოლონიზატორები ანგარიშში მოსტყუვდნენ. კლასობრივმა სოლიდარობამ ხელი-ხელ ჩაკიდებული გამოიყვანა საერთო მტერის — ბურჟუაზიის წინააღმდეგ თეთრკანიანი და ფერადკანიანი მშრომელები.



კრეისერი „დი ცევ ენ პროვინსიენ“.

ამ მოკლე და არასრულ ცნობებიდანაც კი, რომელიც ჩვენს განკარგულებაში მოიპოვება, ირკვევა, რომ მღელვარებას ჰოლანდიის კოლონიალურ ფლოტში საკმაოდ ფართო ხასიათი ჰქონებია. კრეისერები „იავა“, „დი ცევენ პროვინსიენ“, რამდენიმე ნაღმოსანი — ყველა ამ სამხედრო გემებზე ღვიოდა აჯანყების ცეცხლი, მაგრამ ჰოლანდიელმა კოლონიზატორებმა დროზე მიღებული ზომების წყალობით, შესძლეს აჯანყების ჩაქრობა სათავეშივე მეთაურების დაპატიმრებით და მეზღვაურთა დიდი ნაწილის გამოცვლით ამბოხებულ გემებზე. „დი ცევენ პროვინსიენ“, მშრომელი მასების, მეზღვაურთა მთელი შემადგენლობის თანაგრძნობისა და სიმპატიების მიუხედავად, განმარტოებული დარჩა თავის გამოსვლაში.

არა მარტო ჰოლანდიის ბურჟუაზიამ, არამედ მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიულმა და სოციალ - ფაშისტურმა პრესამ გააფთრებული კამპანია დაიწყო ჰოლანდიის პოტიომკინის გმირული ეკიპაჟის წინააღმდეგ.

„აჯანყებები ფლოტში ყოველთვის იწვევდა შიშის გამომწვევ შთაბეჭდილებას“ — სწერდა ინგლისური „დეილი ტელეგრაფი“ „დი ცევენ პროვინსიენ“ აჯანყების გამო. რევოლუციის წითელი ალმებით დამფრთხალი ბურჟუაზია მოითხოვდა აჯანყებულთა უსასტიკესად დასჯას.

და ჰოლანდიის მთავრობამაც არ დააყოვნა ამ მოთხოვნის შესრულება. მთავრობის ესკადრით გარშემორტყმული „დი ცევენ პროვინსიენ“, რომელსაც სამხედრო აეროპლანები ყუმბარებს უშენდნენ, იძულებული გახდა დანებებულიყო. ასე გათავდა ჰოლანდიის „პოტიომკინ“-ის გმირული ბრძოლა.

მაგრამ ამით არ შეწყვეტილა ინდონეზიის მშრომელთა გმირული ბრძოლა. მღელვარება ინდონეზიაში გრძელდება. მშრომელი გლეხობა და სასოფლო - სამეურნეო პროლეტარიატი განაგრძობენ ბრძოლას ნაციონალურ - რევოლუციონური დროშებით. და ამ ბრძოლას მხურვალედ ეხმაურებიან ჰოლანდიის რევოლუციონური მუშები კომპარტიის მეთაურობით. მხოლოდ კომუნისტური პარტია უჭერს მხარს ინდონეზიის მშრომელი მასების განმათავისუფლებელ ბრძოლას, მხოლოდ ის უცხადებს სრულ სოლიდარობას აჯანყებულ კრეისერის მებრძოლებს, მხოლოდ ის მოითხოვს სრული თავისუფლების და დამოუკიდებლობის მინიჭებას ინდონეზიის მშრომელებისათვის. სოციალ - ფაშისტებმა ისე, როგორც ყოველთვის, ახლაც დაამტკიცეს, რომ ისინი არიან ბურჟუაზიის ერთგული მოკავშირეები, რომ ისინი მთლიანად უჭერენ მხარს იმ ნაციონალური ჩაგვრისა და ეკონომიური ექსპლოატაციის პოლიტიკას, რომელსაც იმპერიალისტები ატარებენ კოლონიებში.

რუსეთის „პოტიომკინ“-ის გმირულმა აჯანყებამ 1905 წლის ზაფხულზე თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო რუსეთის თვითმპყრობელობაზე, და ბურჟუაზიაზე, არამედ ევროპის მმართველ წრეებზეც და საგრძნობად შეარყია მასში ნდობა რუსეთის თვითმპყრობელობისადმი. რუსეთის თვითმპყრობელობა უსასტიკესი რეპრესიებით, მშრომელთა განმათავისუფლებელი ბრძოლის სისხლში ჩახშობით ლამობდა აღედგინა ეს შერყეული ნდობა.

„ამ რამოდენიმე ხნის წინათ რუსეთში მომხდარი სამწუხარო ამბების გამო, მე უნდა მიუთითო თქვენს ბრწყინვალებას — სწერდა რუსეთის ელჩი ინგლისში გრაფი ბენკენდორფი 1905 წ. 8 ივლისს საგარეო საქმეთა მინისტრს — რომ არც ერთ მათგანს — ჩვენს სამხედრო მარცხსაც კი, ჩემის აზრით, საზოგადოებრივ აზრზე არ მოუხდენია უფრო მძიმე შთაბეჭდილება, ვიდრე ოდესის უკანასკნელ ამბებს და აჯანყებას „პოტიომკინ“-ზე. მე პირველად დავინახე ნათლად, რომ აქ დაისვა კითხვა — ხომ არ ემუქრება რუსეთში აფეთქებული რევოლუცია მთავრობის არსებობის ურყეობას“.

ოდესის აჯანყების შედარებით სწრაფად ჩაქრობამ რამდენიმედ აღადგინა ნდობა და კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ ის გარემოება, რომ „კნიაზ პოტიომკინ“-ის ეკიპაჟი დღემდე დაუსჯელია, შეშფოთებას იწვევს, სერიოზულ შიშსაც კი ჰბადებს იმ განწყობილებისათვის, რომელიც მეფობს მთელს ჩვენს შავი ზღვის ფლოტში“.

მსოფლიო ბურჟუაზიული აზრი დაჟინებით მოითხოვდა გმირულ „პოტიომკინის“ ეკიპაჟის სასტიკად დასჯას. მსოფლიო ბურჟუაზია ახლაც ისე, როგორც 28 წლის წინ, მოითხოვს „დი ცევენ პროვინსიენ“-ის გმირული აჯანყების მონაწილეთა სასტიკად დასჯას, რომ თავიდან იქნას აცილებული რუსეთის და ჰოლანდიის „პოტიომკინ“-ის მაგალითის განმეორება ინგლისის, საფრანგეთის და სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფლოტში.

მაგრამ უფრო და უფრო მოისხამს ხორცს კლასობრივი ბრძოლის ტალღების შემოტევა, ბურჟუაზიისათვის თანდათანობით უფრო ძნელი ხდება მშრომელთა გმირული ბრძოლის ჩაქრობა. კოლონიების და ნახევრად კოლონიების მშრომელთა გმირული ნაციონალურ - რევოლუციონური განმათავისუფლებელი ბრძოლა მხურვალე გამოძახილს და თანაგრძნობას პოულობს კაპიტალისტური ქვეყნების რევოლუციონურ პროლეტარებში, რომლებიც კომპარტიების ხელმძღვანელობით იბრძვიან კაპიტალის დასამხობად, მთელი მშრომელი კაცობრიობის გასანთავისუფლებლად.

„დი ცევენ პროვინსიენ“-ის გმირული მაგალითი იპოვის მიმდევრებს ისე, როგორც იპოვა მიმდევრები ჩვენმა „პოტიომკინმა“.

ი. მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა კავშირი ამზადებს საკუთარ ბლიუმინგებს



მიმდინარე წლის ორ თებერვალს მაკეევკის ქარხანაში საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. **სერგო ორჯონიკიძის** თანდასწრებით ამუშავებულ იქნა პირველი **საბჭოთა** ბლიუმინგი.

— ოთხი წლის წინ ჩვენ ბლიუმინგებს ვიცნობდით მხოლოდ სურათების მიხედვით, იგი გვეჩვენებოდა ჩვენ „უცხოეთის საოცრებათ“. ამხ. **სტალინმა** ჩვენს წინაშე დასვა ამოცანა—დავეუფლებოდით ბლიუმინგების წარმოებას. ეს იყო ხუთწლედის პირველ წელს. ახლა, ახალი ხუთწლედის პირველ წელს ჩვენ მოვიპოვეთ ახალი უდიდესი გამარჯვება: **შევკრიბეთ და ავამუშავეთ საკუთარი პირველი საბჭოთა ბლიუმინგი**, — განაცხადა ამხ. **ს. ორჯონიკიძემ** ბლიუმინმშენის დამკვრელთა შეკრებაზე.

დამკვრელებმა სთხოვეს ამხ. სერგოს —გადასცეს ამხ. **სტალინს** მათი მტკიცე დაპირება —„ბლიუმინგს დავეუფლებით“.



ბლიუმინგი არის უზარმაზარი დადგმულობა, რომელიც სწელავს ექვს ტონამდე ტონა ლითონს.

რუსეთის ძველ ქარხნებშიც იყო ლითონის დამმუშავებელი მსგავსი მანქანები, მაგრამ მათ შეეძლოთ მხოლოდ ორტონიან და ნაკლები წონის მქონე ზოდების გაწელვა, მათი სიმძლავრე კი 4-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე თანამედროვე ბლიუმინგების.

თანამედროვე ბლიუმინგების საშუალებით, დიდი ზოდების გაწელვის შესაძლებლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სატკეცი ცეხებისათვის, არამედ ფოლადის სადნობი ცეხებისათვისაც.

ბლიუმინგი შესაძლებლად ხდის 6-8 ტონიან ფოლადის ზოდების ჩამოსხმას, რის გამო მცირდება დანაკარგები ჩამოსხმისა და დატკეცის დროს.

ბლიუმინგების გამოყენება ჩვენს მეტალურგიაში შესაძლებელი და აუცილებელი შეიქნა მხოლოდ საბჭოთა პირობებში, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენ შევქმენით მსხვილი ინდუსტრია, მრეწველობის გიგანტები. მეფის დროს ყველაზე უდიდესმა მეტალურგიულმა ქარხანამ — ამჟამად ძერჟინსკის სახელობის ქარხანამ — 1913 წელს გამოადნო მხოლოდ 453.000 ტონა ფოლადი. აბა რა საჭირო იყო მისთვის თანამედროვე ბლიუმინგი —1200.000 ტონა პროდუქციით!

ახალ უდიდეს გამარჯვებას ბლიუმინგების წარმოების დაუფლება წარმოადგენს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის მშენებლობის ფრონტზე, მოწინავე ტეხნიკის დაუფლების ფრონტზე.

ე. ნ.

**სურათზე** — ზევით: **მაკეევკაში (დონბასი) დადგმული ბლიუმინგი. მარცხნივ: პირველი საბჭოთა ბლიუმინგის სამანქანო დარბაზი.**

ფასი 30 კაპ.

გაზ. „კომუნისტი“-ს სტამბა კამოს 68.
მთავლიტის რწმუნებული გ—232.